გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 13
(11 470)
16 – 19 თებერვალი, 2001 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

უკრაინის საინფორმაციო სააგენტო (USFC) - საქართველო - უკრაინის მატჩის შესახებ: „საერთო ჯამში საქართველოს ნაკრებმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მასპინძლებმა დაჯაბნეს სტუმრები. ისინი ბევრად ტექნიკურები და აქტიურები იყვნენ (განსაკუთრებით მატჩის პირველ ნახევარში). მატჩის მსვლელობისას უფრო ხშირად იგებდნენ ორთაბრძოლებს. რაც შეეხება უკრაინელებს, ისინი პასიურად გამოიყურებოდნენ, თითქოს ვილაცა აძალებდა თამაშს... მატჩის შემდეგ მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო კახისკენ, რომელმაც გულშემატკივრებს დაურიგა უამრავი ავტოგრაფი. შემდეგ მას მაისურიც კი გახადეს და ასე ტანშიშველი გაემართა იგი გასახდელში. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როგორ უყვართ კახაძე მის სამშობლოში".

3



ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

გოჩა ჯამარაული ორ მცველთან ბრძოლაში

## გუშინ, დღეს, ხვალ...

**გუშინ.** საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში თავმჯდომარის მოადგილის გურამ ძაგანიას ხელმძღვანელობით გაიმართა საქართველოს სტუდენტთა თამაშების მომზადებისა და ჩატარების ხელმძღვანელობის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა. ორგანიზატორებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი თამაშების პროგრამაში სპორტული ბილიარდის ჩართვას.
**დღეს. თბილისში, გამსახურდიას გამზირზე (№41) საზეიმოდ გაიხსნება დედაქალაქში ყველაზე კეთილმოწყობილი ბილიარდის კლუბი „იმპერიალი".**
**ხვალ.** თბილისის არმიის სპორტულ კლუბში 11 საათზე დაიწყება საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.



## თბილისის სპორტის სასახლე 40 წლისა ხდება, გახსოვდათ?

## ჩემპიონთა ლიგა



მილანი – პსჟ
მარჯვნივ ანდრეი შევჩენკო

თბილისში სპორტი, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდა და ტურიზმი გაერთიანდა

2

ანდრია დადიანის საჭადრაკო მემკვიდრეობა ნონა გაფრინდაშვილმა ხუთგზის აიყვანა უმაღლეს მწვერვალზე

## როდის ვიზეიმოთ საქართველოში ფეხბურთის დანერგვის 100 წლისთავი?

4



ბაკურიანში ახალი თოვლი მოვიდა...

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### დაუმი სკალას ნაცვლად?

წუხელ გერმანიის საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა იმის შესახებ, რომ ლევერკუზენის „ბაიერის" ყოფილი თავკაცი კრისტოფ დაუმი მოლაპარაკებას აწარმოებს თურქეთის „ბეშიქთაშთან", სადაც მთავარი მწვრთნელი იტალიელი ნევიო სკალაა.

### ხოლცენბაინი ციხეში მოხვდა

1974 წლის მსოფლიო ჩემპიონი, გერმანელი ვეტერანი ფეხბურთელი ბერნდ ხოლცენბაინი 7 თვე გაატარებს ციხეში. ეს სასჯელი მას გამოუტანა ფრანკფურტის სასამართლომ იმის გამო, რომ 1993-ში, მან „აინტრახტის" კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა განელ ფეხბურთელს ენტონი იებოასთან ფიქციური კონტრაქტი გააფორმა რათა დაეფარა გადასახადები.

**ფეხბურთი. გერმანიის საფეხბურთო კავშირმა იბრაჰიმ ტანკო ოთხი თვით მოკვეთა ფეხბურთიდან ნარკოტიკების მოხმარებისათვის (იხ. მე-7 გვ.).**
ჰოლანდიის ნაკრების და შოტლანდიის „რეინჯერსის" ნახევარმცველი, ცნობილი ფეხბურთელი რონალდ დე ბური ორი თვე ვერ გამოვა მინდორზე სათამაშოდ, ვინაიდან შარშან სექტემბერში მიღებულმა მუხლის ტრავმამ კვლავ თავი შეახსენა.
ჰავანა. კუბის დედაქალაქში სახელმწიფოს მეთაურმა ფიდელ კასტრომ გახსნა თანამედროვე დოპინგსაწინააღმდეგო ცენტრი, რომლის მოწყობა დაჯდა 2 მილიონ 600 ათასი დოლარი.

## მორჭილაძეების ოჯახები სპორტული საგვარეულო ხდება

2



## ტოსტაო ახლო ხედით

5



## ცხენს და ცხენოსნობას ფოთი არ უღალატებს

2





ასე იწყებოდა რაგბი საქართველოში. სურათზე (მეორე რიგში) მარჯვნიდან პირველი ჟაკ ჰასპეკიანი, რომელმაც რაგბი საქართველოში საფრანგეთიდან „შემოიტანა".

GRU

შაბათს, 17 თებერვალს, ეროვნულ სტადიონზე, „ევროპის ერთა თასის" მეორე ტურის პროგრამით საქართველო მასპინძლობს პორტუგალიას. მატჩი 15 საათზე დაიწყება და საქართველოს ტელევიზიის I არხით ცოცხლად გადაიცემა.

# მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 6 თვე დარჩა

## თბილისში სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური შეიქმნა

ეს ახალი სტრუქტურა დედაქალაქის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის სამართალმემკვიდრეა. ამიერიდან მას სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდა დაემატა, ანუ დედაქალაქის განათლების ბავშვთა სპორტს ამიერიდან ახალი მეურვე ეყოლება. ამ გადაწყვეტილებამდე სპეციალისტები დიდი ხნის განსჯის შემდეგ მივიდნენ.

ამჟამად ახალშექმნილი სამსახურის ხელმძღვანელობა ორგანიზაციულ-სტრუქტურულ სრულყოფაზე მუშაობს.

### ახალი სამსახურის ახალი ხელმძღვანელობა

თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის უფროსად დაინიშნა **დავით ჭელიძე**, პირველ მოადგილედ – **ვლადიმერ კანკავა**, მოადგილეებად – **გია ბალიაშვილი, გაგა ჭკუასელი** და **ზაზა დოლიძე**.



### დავით ვახტანგის ძე ჭელიძე

***დაიბადა*** 1969 წელს თბილისში

***1986 წელს*** დაამთავრა 55-ე საშუალო სკოლა

***1988 წელს*** პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან გაიწვიეს ჯარში

***1994 წელს*** დაამთავრა საქართველოს ტექნოლოგიური უნივერსიტეტი

***მუშაობდა:*** თბილისის მერიის აპარატის უფროსის მოადგილედ ადმინისტრაციულ და სახელმწიფო ორგანოებთან მუშაობის დარგში (1995-96); საქართველოს სახელმწიფო მინისტრის სამდივნოს უფროსის მოადგილე (1996-97); საქართველოს სახელმწიფო მინისტრის სამდივნოს უფროსი (1997-98); საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის ეკონომიკური სამსახურის სექტორული ეკონომიკის განყოფილების უფროსის მოადგილე (1998.07.09); თბილისის მერიის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1998-2001); თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის უფროსი (2001 წლის 6 თებერვლიდან).

SALT LAKE 2002

TM © 1997 SLOC 36 USC 380

# ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს წელიწადი გვაშორებს

## ანდრია დადიანის საჭადრაკო მემკვიდრეობა უკვდავია

სამეგრელოში თანამედროვე საჭადრაკო ტრადიციებს საფუძველი ჩაუყარა ანდრია დადიანმა XIX საუკუნეში, რომელიც შემდგომ თვალშეუდგამ სიმაღლეზე აიყვანა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა. ნონას ამაგს ღირსეულ პატივს მიაგებენ მის მშობლიურ ზუგდიდში, სადაც აქტიური საჭადრაკო ცხოვრება სჩქეფს. ტრადიციები საამაყოდ გააგრძელეს თ. კიკიანმა, რ. ბერულავამ, გ. ჯანაშიამ, რ. გვათუამ, გ ჭურღულიამ და სხვებმა. ამ მოჭადრაკეებს კი ასეთი ღირსეული ცვლა გამოუჩნდა. დღევანდელი თაობა წარმატებით ასპარეზობს შინ თუ უცხოეთში. ზუგდიდის საჭადრაკო კლუბის გუნდი „ნონა“ საქართველოს საკლუბო ჩემპიონატების და ვ. ქარსელაძის მემორიალების მუდმივი მონაწილეა, შედეგები კი ყოველთვის თვალსაჩინო აქვთ. კლუბში ამჟამად 120-მდე პერსპექტიული მოსწავლე მეცადინეობს უნარიანი და გამოცდილი მწვრთნელების გ. შოგირაძის, გ. თორიას და ნ. გელოვანის ხელმძღვანელობით. მოსწავლეთა შორის 35 აფხაზეთიდან დევნილთა ოჯახის წევრია.

საერთაშორისო შეჯიბრებებში, განსაკუთრებით უნივერსიადებში, საპრიზო ადგილებზე გამოდიოდა საქართველოს სტუდენტ მოჭადრაკეთა უცვლელი ლიდერი ალექსანდრე დგებუაძე, ახლახან მას დიდოსტატის წოდება მიენიჭა. საერთაშორისო ოსტატის პირველი ბალი მოიპოვა ზუგდიდელმა ქალიშვილმა ნათია წურწუმიამ, ხოლო ათ წლამდე გოგონათა ევროპის ჩემპიონატში, საბერძნეთში მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვა მადონა ბოკუჩავამ. ამით ზუგდიდელმა გოგონამ უფლება მოიპოვა შერჩევის გარეშე გამოვიდეს ევროპის მომავალ ჩემპიონატში.

**ბელა ნაჭყებია,**
**ზუგდიდი.**

### სპორტული ოჯახები

# ბიჭები მამების ნაკვალევს მიჰყვებიან

XX საუკუნეში ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ოფიციალურ ჩემპიონატებში ქართველი მძიმეწონოსნებიდან ყველაზე უკეთესი მიღწევები ევროპის 1974 წლის ჩემპიონს, შოთა მორჩილაძეს ჰქონდა, რომელსაც, ამას წინათ, 50 წელი შეუსრულდა. შოთა მსოფლიოს ჩემპიონატის ორგზის პრიზიორია 1973-III, 1974-II, სსრკ ჩემპიონი (1973), და აბსოლუტური (1977) ფალავანია. იყო მსოფლიოს უნივერსიადის ჩემპიონი (1973). მანამდე კი ჭაბუკთა შორის მაიამიბიჩში (აშშ), პირველი მსოფლიოს პირველობა გაიმართა მძიმეწონოსნებში და სწორედ ქართველმა ჭაბუკმა გაიმარჯვა (1969).

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი შოთა მორჩილაძე თბილისში დაიბადა. ჭიდაობა კი სენაკში კარლო ჯოჯუასთან დაიწყო. თბილისში მისი მწვრთნელი ვლადიმერ მაისურაძე იყო. სხვათა შორის, ბევრი ძლიერი ათლეტის რისხვა იყო აგრეთვე შოთას უმცროსი ძმა სპორტის ოსტატი, ქვემძიმე წონოსანი მალხაზ მორჩილაძე.

დღეს ძმები აშშ-ინგლისის დილერი ფირმა „ესაბის“ კონცენტრში მუშაობენ დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე (რუსთაველზე), სადაც დირექტორი უფროსი ძმა შოთა მორჩილაძეა.

ძმების კვალს გაჰყვნენ მათივე ვაჟებიც. მალხაზის ვაჟი 1981 წელს დაბადებული შოთა მორჩილაძე ოთხი წელია ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში დამსახურებულ მწვრთნელ დავით დავითაიასთან წარმატებებსაც აღწევს. ორი წელია, რაც დავით დავითაიას მოწაფე გახდა აგრეთვე უფროსი ძმის შოთა მორჩილაძის ვაჟი, 1986 წელს დაბადებული გივი მორჩილაძე. ბიჭები თბილისში უძველეს საჭიდაო დარბაზში (გ. ჩუბინაშვილის №38) ვარჯიშობენ. ეს ის დარბაზია, ხალხში „პეტრეს დარბაზის“ სახელწოდებით რომაა ცნობილი. გამოცდილი მწვრთნელი დავით დავითაია დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს ძმათა შვილებს — სპორტული ოჯახების წარმომადგენლებს.

**ბაბრიელ ბარჯაძე**

***სურათზე: ამ დარბაზში ახლა მორჩილაძეთა შვილები ოსტატდებიან.***



## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# გადარჩება თუ არა ცხენოსნობა ფოთში?

**ამას წინათ, „ლელოში“ რუბრიკით SOS, საგანგაშო ცნობა გამოქვეყნდა იმ საფრთხის თაობაზე, რომელიც ფოთში საცხენოსნო ტრადიციებს დაემუქრა. ოფიციალური შეტყობინება არ მიგვიღია, მაგრამ სარწმუნოდ ვიცით, რომ გაზეთის შეშფოთება ყურად იღეს და საცხენოსნო ბაზას ფოთში გაუქმება აღარ ემუქრება. პირიქით, პრაქტიკული ნაბიჯებიც კია გადადგმული ამ ბაზის მატერიალური შესაძლებლობების გასამტკიცებლად.**

**ამასთან, ფოთიდან მივიღეთ ვეტერანი მხედრის და მწვრთნელის ვალერიან მაქაცარიას წერილი, რომელშიაც ავტორი ამ ქალაქის საცხენოსნო ტრადიციებზე და ერთ ამაგდარ კაცზე გრიგოლ კოკაიაზე მოგვითხრობს.**

## ვეტერანი მხედარი იგონებს...



1946 წლის გაზაფხულზე დაიწყო ფოთის იპოდრომის მშენებლობა, რომელიც იმავე წელს დამთავრდა. ეს იყო პირველი ასეთი თანამედროვე სარბიელი საქართველოში.

1947 წელს გაიხსნა იპოდრომი და ჩატარდა პირველი რესპუბლიკური შეჯიბრება 18 გუნდის მონაწილეობით. საერთო გუნდური პირველობა მოიპოვა ფოთის ცხენოსანთა გუნდმა.

პირველი ინგლისური ჯიშის ცხენები გრ. კოკაიამ ჩამოაყვანინა ფოთში. ამის შემდეგ გაიზარდა ცხენთა სულადობა და აღორძინდა ცხენოსნობა.

1948 წელს თბილისში, (ვაკეში) საქართველოს პირველობა ჩატარდა, სადაც პირველ ადგილზე გავიდა ქ. ზუგდიდის გუნდი, ხოლო ჩვენ, ფოთელები, მეორეზე დავრჩით.

1949 წელს, იქ, სადაც ახლა თბილისის იპოდრომია, საქართველოს მორიგი პირველობა გაიმართა და აქაც მეორე ადგილი მოვიპოვეთ.

1950 წელს ფოთმა ცხენი „სეკრეტა“ შეიძინა, რომლითაც მე გავხდი საქართველოს ჩემპიონი. ფოთელები გუნდურ შეჯიბრებაშიც პირველ ადგილზე გავედით. მეორე იყო ზუგდიდი, მესამე – გუდაუთა, ჩვენს გუნდში გამოდიოდნენ ჭალადიდიდან – კაკა დარჯანია (ახლანდელი ფოთის მერის ბაბუა), ავთო ბერიძე, გრიგოლ ხურცილავა, პატარა ფოთიდან – გრიგოლ მირცხულავა. კაპიტონ ქანთარია, სევე ხუბულია, ბიქტორ კაკაია, გრიგორ სილოგავა, ვალერიან ადამია, გრიგოლ ბართია, პატარა ფოთის ალმასკომის თავმჯდომარე და მეურნეობის დირექტორი პაჭუ ფირცხალავა. დღეს ცოცხალია გრიშა ბართია, რომელმაც უკვე ას წელს გადააცილა, კვლავ ჯირითობს და კარგადაც თამადობს.

აქვე უნდა გავიხსენო ფოთელები ივლიანე კვარაცხელია, დანტე ხოფერია, კუკური მელია (სსრკ პრიზიორები, სპორტის ოსტატები), კოტე ნაჭყებია (79 წლისაა), გოლია მალანია, იაშა ლიპაჩოვი (გუნდის კაპიტანი), ჯოდო კვარაცხელია, ანტოშა ჩაჩავა, რუსლან ტოტიკოვი, იპოდრომის პირველი დირექტორი გიორგი გამზარდია და ყველასათვის ცნობილი კონსტანტინე შურღაია, რომელიც 1960 წლამდე მუშაობდა იპოდრომის დირექტორად. არაერთხელ უსახელებიათ თავი მხედარ ქალებს – ნუნუ ჯაჯავას და თინა კვაჭანტირაძეს.

სულ ახალგაზრდა ვიყავი, როცა ჩამაბარეს ცხენი „სეკრეტა“, ამ მერნით 1947-48 წლებში გავხდი საქართველოს ჩემპიონი.

1949 წელს, ნოემბერში, როგორც წვევამდელი, გამომიძახეს კომისარიატში. გავემზადე ჯარში წასასვლელად. ეს შეუტყვია ქალაქკომის პირველ მდივანს გრიგოლ კოკაიას, გამომიძახა, ალმასკომის თავმჯდომარე ვასილ ოჩიგავა და კომისარი ვალერიან კურკაციშვილი მოიხმო. მათ ჰკითხა მიცნობდნენ თუ არა მე. ოჩიგავამ უპასუხა – ვიცნობო. მდივანმა თქვა, რომ ჯარში ჩემი შემცვლელი გამოინახება, სპორტში – არა დღ მოითხოვა დავეტოვებინეთ საჯარისო სამსახურიდან.

**ვალერიან მაქაცარია,**
ვეტერანი მხედარი

### სამხარეო პირველობები

# იმერლები ხონში შეიკრიბნენ

ხონის სპორტული სკოლის დარბაზში საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის იმერეთის სამხარეო ორგანიზაციის ინიციატივით ჩატარდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობა კალათბურთსა და ჭიდაობაში.

კალათბურთში მონაწილეობა მიიღო ჭაბუკთა ექვსმა ნაკრებმა — ქ. ქუთაისის, სამტრედიის, ზესტაფონის, წყალტუბოს, საჩხერის და ხონის წარმომადგენლებმა.

ფინალში ქუთაისელმა მოსწავლე კალათბურთელებმა დაამარცხეს ზესტაფონელი თანატოლები და დაისაკუთრეს ასპარეზობისათვის დაწესებული პრიზი.

* * *

თავისუფალი სტილით ჭიდაობაში მონაწილეობდნენ ქ. ქუთაისის, ბაღდათის, სამტრედიის, ხარაგაულის, ზესტაფონის, საჩხერის და ხონის ჭაბუკი მოჭიდავეები. გუნდურ ჩათვლაში 596 ქულით პირველი ადგილი ქუთაისელებმა დაისაკუთრეს. მეორე ადგილზე გავიდნენ ხონელები — 536, მესამე იყო სამტრედიის მოჭიდავეთა ნაკრები — 532. ასპარეზობების კოორდინატორი იყო ხონის სპორტსკოლის დირექტორი ტარიელ ჯაფარიძე.

**დემურ ტორაძე,**
**ხონი.**

### მოკლედ...

სამეგრელო-ზემო სვანეთის თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა პატივი მიაგეს უდროოდ დაღუპული სოხუმელი მოჭიდავის გია დარსანიას ხსოვნას. ღია ტურნირში 100-მდე მოჭიდავე გამოდიოდა.

### შეკითხვა „ლელოს“

**შეკითხვა:** ძალიან მაინტერესებს აქვთ თუ არა ბავშვებს უფლება მონაწილეობა მიიღონ ოლიმპიურ თამაშებში და თუ შესაძლებელია გვიპასუხეთ, ვინ არის ყველაზე ნორჩი ოლიმპიური ჩემპიონი?

*ბექა რაზმაძე, თბილისი.*

**პასუხი: ოლიმპიურ ქარტიაში მითითებული არ არის თამაშებში მონაწილეთა კონკრეტული ასაკი, ამის უფლება აქვს ყველას, ვინც დაიმსახურებს. ოლიმპიადების ისტორია კი იცნობს ერთ ფაქტს, როცა თამაშებში მონაწილეობდა მოზარდი. ეს მოხდა 1900 წელს. 10 წლის ფრანგი ბიჭუნა მარსელ დეპაიეი მესაჭე იყო ქვეყნის ნიჩბოსანთა ნაკრებში.**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სამსახური

# საქართველო — უკრაინა

*14 თებერვალი. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. ამხანაგური საერთაშორისო მატჩი: საქართველო — უკრაინა (ეროვნული ნაკრებები) 0-0*

**საქართველო:** გვარამაძე, სილაგაძე, კობიაშვილი (თოდუა, 46), რეხვიაშვილი, ქემოკლიძე, ხიზანიშვილი, კალაძე, ყაველაშვილი (ცქიტიშვილი, 65), ქეცბაია, ჯამარაული (აშვეთია, 59), ა. არველაძე (მენთეშაშვილი, 50).
**უკრაინა:** შოვკოვსკი, სტაროსტიაკი (პოპოვი, 48), ნესმაჩნი, გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი, ლისიცკი, ტიმოშჩუკი, კარდაში (ვენგლინსკი, 66), ვორობეი, მელაშჩენკო (ხომა, 80).
**გააფრთხილეს:** დმიტრულინი.
**მსაჯები:** ხოგან მამედოვი, რამიზ ასადოვი, ელდარ ნაგიბეკოვი (ყველა — აზერბაიჯანი).

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებთან სასაუბროდ ერთდროულად ოთხი (!) მწვრთნელი მივიდა – ყიფიან-ძოძუაშვილის გვერდით ვიხილეთ ძველი მეტოქეები ვლადიმერ ვერემეევი და ლეონიდ ბურიაკი (ვალერი ლობანოვსკი გუნდს არ ჩამოჰყოლია). მათი შეფასებით, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ ეს შეხვედრა ძალიან სასარგებლო იყო. მან საშუალება მისცა ნაკრების თავკაცებს თამაშში გამოეცადათ ფეხბურთელები, მათ შორის ახალბედებიც. ერთადერთი, რაზედაც მწვრთნელებმა დაიჩივლეს, ეროვნულ სტადიონზე ცუდი საფეხბურთო საფარია, თუმცა, აქვე, დავით ყიფიანმა გაიხსენა, რომ წლის ამ დროს ასეთი ვითარება უცხო არაა, თანდათან მინდორი გამოსწორდებაო.

მასპინძლებმა, ისევე როგორც სტუმრებმა, ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი მოისაკლისეს. ქართველებმა – გიორგი ნემსაძე, გიორგი ქინქლაძე, შოთა არველაძე, გიორგი დემეტრაძე, ალექსანდრე იაშვილი, უკრაინელებმა – ანდრეი შევჩენკო, ოლეგ ლუჟნი, ვლადიმირ რებროვი, ვლადიმირ გუსინი. ამგვარად, ნაკრებში დასამკვიდრებლად განაცხადის გაკეთების შანსი რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელს მიეცა – ქართველებიდან ეს მცველ რევაზ ქემოკლიძესა და თავდამსხმელ მიხეილ აშვეთიაზე ითქმის. მართალია, ერთი მატჩით ძნელია შეაფასო მათი გარჯა, ამიტომ ეს სამომავლოდ გადავდოთ, ქვემოთ კი მატჩისგან მიღებულ სხვა შთაბეჭდილებებზე გიამბობთ.

როგორც ვთქვით, მასპინძელთა გუნდის შემადგენლობა იძულებით გადახალისდა.; დავიწყოთ მცველებით. თუ ცენტრალური ზონის გაკონტროლება ბოლო დროს შეთამაშებულ წყვილს – კახი კალაძესა და ლევან სილაგაძეს დაევალა, მარჯვენა ფლანგი ჩააბარეს ახალბედა რევაზ ქემოკლიძეს, ხოლო მარცხნივ, ჩვეულ ადგილზე ლევან კობიაშვილი იყო. მთელი მატჩის მანძილზე ჩვენი მცველები, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე უმნიშვნელო ეპიზოდს, საკმაოდ ხისტად და საზრიანად მოქმედებდნენ, რაც ოპტიმიზმის საბაბს ნამდვილად გვაძლევს.



ზურაბ ხიზანიშვილი

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

საყრდენი ნახევარმცველების ფუნქცია გიორგი ნემსაძის არყოფნაში დაევალათ ალექსანდრე რეხვიაშვილსა და ზურაბ ხიზანიშვილს. ამ უკანასკნელისთვის ეს ამპლუა მართალია უჩვეულოა, მაგრამ მან ერთობ შთამბეჭდავად გაართვა თავი მოვალეობას. აკი უბოძეს კიდეც (უკრაინელ შოვკოვსკისთან ერთად) მატჩის საუკეთესო მოთამაშის პრიზი. ნახევარდაცვაში ჩვეული სისხარტით და მახვილგონივრულად მოქმედებდა გოჩა ჯამარაული და, განსაკუთრებით, თემურ ქეცბაია, რომელმაც სამაგალითო კაპიტნობა გაუწია თანაგუნდელებს.



პრესკონფერენციაზე

როგორც მატჩმა გვიჩვენა, საქართველოს ნაკრების მთავარი საზრუნავი კვლავ თავდასხმის პოტენციალის გაზრდა რჩება. მიზეზთა გამო ვერა და ვერ ჩართეს ნაკრებთან თამაშში შოთა არველაძე – ჩვენი მთავარი დამრტყმელი ძალა. განვლილ მატჩში წინა ხაზში ვიხილეთ არჩილ არველაძე და მიხეილ ყაველაშვილი, რომლებიც ბევრს კი ცდილობდნენ, მაგრამ დიდი ვერაფერი ხიფათი შექმნეს შოვკოვსკის კართან.

ზემოხსენებული პრობლემის გადაჭრის გზად ბევრს ესახება ნაკრებში მოსკოვის ლოკომოტიველის ზაზა ჯანაშიას გამოძახება, მაგრამ, როგორც პრესკონფერენციაზე ჩვენი ნაკრების მწვრთნელებმა განაცხადეს, გუნდში მხოლოდ იმას გამოუძახებენ, ვისაც ნამდვილად სურს აქ თამაში: „დავილალეთ მისი ფოკუსებისაგან!“ – ასეთია საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცთა აზრი.

მაშ ასე, უკან დარჩა საქართველოს ნაკრების სპარინგ-მატჩი უკრაინელებთან, რომელმაც გვიჩვენა, რომ არის თამაშის ხარისხის გაძლიერების საკმაო რეზერვი, მით უმეტეს, რუმინეთთან თავს მოიყრის ყველა ლეგიონერი. ასე რომ, იმედიანად შევხედოთ მომავალს და იქნებ იაპონია-კორეის საგზურებსაც გამოვკრათ ხელი.

**ჯემალ ჭიპაშვილი**

## არის თუ არა იღბალი ძლიერის თანმდევი?

*14 თებერვალი. „შევარდენის“ სტადიონი. ამხანაგური საერთაშორისო მატჩი: საქართველო — უკრაინა (ახალგაზრდული ნაკრებები) 1-0*

**საქართველო:** მერლანი (ბათიაშვილი, 46), საჯაია, აბრამიძე, ჩივაძე (ძამსაშვილი, 77), კანდელაკი, მანწკავა (დილმელაშვილი, 46), იმედაძე (ამისულაშვილი, 75), ასათიანი (სირაძე, 77), კორღალიძე (ბურდული, 46), წიტაიშვილი, მელქაძე (გვაზავა, 46).
**უკრაინა:** რუდენკო, პასიჩნიჩენკო, შერშუნი, კამარნიცკი, სკობა, ბელოზორი, დიდკოვსკი (ალექსეენკო, 43), სემოჩკო (ხომუტოვი, 87), ტარანი (მატიუხინი, 46), პოიდა (ბელიკი, 42), შევჩუკი.
**გოლი:** ბურდული (88).
**გააფრთხილეს:** სემოჩკო.
**გააძევეს:** კანდელაკი, ბელიკი.
**მსაჯები:** მერაბ მალაღურაძე, მამუკა ელიკაშვილი, ავთანდილ სამხარაძე.

აქამდე ეს გუნდები ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს — ფრე და მოგება, — ასეთია ქართველთა მონაგარი. საბედნიეროდ, ქართველებმა უკრაინელებთან ამ მატჩის შემდეგ უფრო გაზარდეს „დადებითი სალდო“. ნათქვამია, ბედი ძლიერის მხარესააო, მაგრამ ამ შეხვედრაზე ამას ვერ იტყოდი — აბსოლუტურად თანაბარი თამაშის ლოგიკური შედეგი ფრე იქნებოდა რომ არა, მატჩის მიწურულს სტუმართა მეკარისა და მცველების უყურადღებობა. ამით კარგად ისარგებლა მეორე ტაიმში შეცვლაზე შემოსულმა ლადო ბურდულმა, რომელმაც მარცხნიდან ლევან გვაზავას ჩამოწოდებულს შედეგიანი დარტყმა შეაგება.

ამ შეხვედრას პასუხი უნდა გაეცა მთავარ შეკითხვაზე — რამდენად არიან მეტოქე გუნდები ოფიციალური შესარჩევი მატჩებისათვის მზად, მით უმეტეს, პირველი შეხვედრა ქართველებს თვენახევარში მეტად ძლიერ ნაკრებთან — რუმინეთთან ელის.

დასკვნა არაერთფეროვანია. ერთის მხრივ, ჩვენს ახალგაზრდა ფეხბურთელებს თითქოს მონდომება არ აკლიათ: ბევრს მოძრაობენ, ორთაბრძოლებშიც ხისტად ერთვებიან, თამაშის რიტმსაც სამაგალითოდ არეგულირებენ. მაგრამ ფეხბურთის მთავარი ამოცანა ხომ გოლის გატანაა. აი, აქ კი აშკარად ვერ არის ყველაფერი რიგზე — მთელი 90 წუთის მანძილზე გუნდი რომ საგოლე მომენტს ვერ შექმნის, მეტად დასაფიქრებელია. არა, წინწაწეულ ერთადერთ ფორვარდს კლიმენტი წიტაიშვილს გარჯას ვერ დაუწუნებ: ბევრს ცდილობს, სხარტი მოძრაობებითა და მანევრით არეულობა შეაქვს მოწინააღმდეგე მცველებში, მაგრამ იგი ხომ მარტოა. ალბათ, მის გვერდით ლაშა ჯაკობიას რომ ეთამაშა (იგი ტრავმირებულია), ქართველთა შეტევებს მეტი აგრესიულობა შეემატებოდა.

ასეა თუ ისე, ქართველებმა მოიგეს, გამარჯვებულებს კი არ ასამართლებენ. ქართველი ახალგაზრდა ფეხბურთელები ოპტიმისტური განწყობით ხვდებიან კარს მომდგარ სეზონს.



ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

## კიეველი ჟურნალისტის თვალით

*(„უკრაინული ფეხბურთი“, 15 თებერვალი)*

მატჩის დაწყებამდე რამდენიმე კითხვა დაგვებადა: როგორ მოხდა რომ ქართველებმა შეძლეს თავი მოეყარათ თავისი ლეგიონერებისათვის, ხოლო სლავები თბილისს ორი კლუბის — კიევის „დინამოსა“ და დონეცკის „შახტარის“ ფეხბურთელებით ესტუმრნენ? რატომ არ ჩამოჰყვა უკრაინელთა მთავარ გუნდს ვალერი ლობანოვსკი?

... პირველი დარტყმა კარისაკენ უკრაინელებმა განახორციელეს: მარცხენა ფლანგიდან გარღვევა დმიტრულინმა არაზუსტი დარტყმით დაასრულა. ქართველებმა სწრაფი კონტრშეტევით უპასუხეს — ყაველაშვილის გარღვევა თავგანწირული ნახტომით შოვკოვსკიმ გააუვნებელყო. პირველი საგოლე მომენტი ქართველებმა შექმნეს: მეთორმეტე წუთზე სტუმართა კარში სამმა ფეხბურთელმა — ყაველაშვილმა, რეხვიაშვილმა და ქეცბაიამ დაარტყა.

ორი მათგანის დარტყმა შოვკოვსკიმ მოიგერია, ხოლო ერთს (რეხვიაშვილის) ხარიხა გადაეღობა. ამ მომენტმა ცხადყო, რომ უკრაინელთა დაცვაში პრობლემებმა იჩინა თავი.

***21-ე წუთზე აზერბაიჯანელ არბიტრს შეეძლო დაენიშნა ჩვენს კარში პენალტი, როცა მარცხნიდან შეჭრილ ჯამარაულს არაკორექტურად დაუხვდა სტაროსტიაკი.*** ქართველებმა ამ პერიოდში კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, მერე კი, ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა შეანელეს შეტევები და თამაშმა მინდვრის ცენტრში გადაინაცვლა, თუმცა ამ დროს რამდენჯერმე ინდივიდუალური ოსტატობით გაიბრწყინა ვორობეიმ, ისევე როგორც შოვკოვსკიმ, რომელმაც არჩილ არველაძის სახიფათო თავური მოიგერია.

მეორე ტაიმი სანახაობრივად პირველს ჩამოუვარდებოდა. სტადიონის ისედაც უვარგის მინდორზე ფეხბურთელებმა სამაგალითო გამძლეობა აჩვენეს, ამ პერიოდში უკრაინელებმა ბურთის კოლექტიური წართმევის შესაშური უნარი გამოავლინეს...

უკრაინელებმა კიევში ნულოვანი ფრე ჩამოიტანეს, რომელიც საკმაო განსჯას იმსახურებს. მწვრთნელები, ალბათ, ყველა ფეხბურთელის მოქმედებას გააანალიზებენ და სათანადო დასკვნებს გამოიტანენ, ისევე როგორც მათი ქართველი კოლეგები“.

რეპლიკა

## რუმინეთთან არავინ გვაპატიებს...

*ოთხშაბათს, საქართველო – უკრაინის მატჩზე თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ნაცნობი სურათი ვიხილეთ: თამაში ახალი დაწყებული იყო, როცა უბილეთო გულშემატკივართა საკმაოდ დიდმა არმიამ წესრიგის დამცველთა კორდონი რამდენიმე ადგილას გაარღვია და იმ ტრიბუნებზე მოთავსდა, სადაც ინდივიდუალური სავარძლები დამონტაჟებული არ არის. ძალზე საწყენია, რომ მიუხედავად სფფ-ს პასუხისმგებელი მუშაკების დიდი მცდელობისა, ამ პრობლემას ვერ მოევლო. არადა, უეფამ, როგორც იცით, ამის თაობაზე სასტიკად გაგვაფრთხილა. ღმერთმა ნუ ქნას, რუმინეთთან მატჩში განმეორდეს ეს უწესრიგობანი — საქართველოში ნაკრების თამაშს ხომ ველარ ვიხილავთ, რაღად გვინდა მაშინ ახალ სტადიონს რომ ვაშენებთ?*

### შოვკოვსკის თბილისში ფული და საბუთები მოპარეს

**ეს ცნობა გუშინ საღამოს გაავრცელა ინტერნეტმა. ინფორმაციაში ნათქვამია, რომ კიევის „დინამოსა“ და უკრაინის საფეხბურთო ნაკრების მეკარე ალექსანდრ შოვკოვსკი თბილისში საქართველოს ნაკრებთან მატჩის შემდეგ გაქურდეს. ფეხბურთელს მოპარეს საფულე, რომელშიაც, მისივე თქმით, 200 აშშ დოლარი და მძღოლის მოწმობა ჰქონდა. მატჩის შემდეგ, შოვკოვსკი დასახელდა სტუმართაგან საუკეთესო ფეხბურთელად, სტადიონის ეზოში გამოსვლისას იგი ავტოგრაფების დარიგებით გაერთო. სწორედ ამ დროს, ვიღაც შეუმჩნევლად მიეპარა მას და ტექნიკურად „გააყოლა ხელს“ საფულე.**



*2001 წელი. 14 თებერვალი. ისტორია მეორდება...*

რობერტ ბაგოიანის ფოტო

# ჩემპიონთა ლიგა

## მეორე ეტაპი

### A ჯგუფი

**ვალენსია (ესპანეთი) — მანჩესტერი (ინგლისი) 0-0**

**შტურმი (ავსტრია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 2-0**

ხაასი (60), კოციანი (85).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| ვალენსია | 3 | 1 | 2 | 0 | 2-0 | 5 |
| შტურმი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| პანათინაიკოსი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |

*20 თებერვალი*

**პანათინაიკოსი — შტურმი**

**მანჩესტერი — ვალენსია**

### B ჯგუფი

**მილანი (იტალია) — პსჟ (საფრანგეთი) 1-1**

1-0 ლეონარდო (27), 1-1 ანელკა (30).

**გალათასარაი (თურქეთი) — დეპორტივო (ესპანეთი) 1-0**

სუათი (11)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| მილანი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| დეპორტივო | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 3 |
| პსჟ | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |

*20 თებერვალი*

**დეპორტივო — გალათასარაი**

**პსჟ — მილანი**

### C ჯგუფი

**ლიონი (საფრანგეთი) — არსენალი (ინგლისი) 0-1**

ანრი (59).

ბაიერნი (გერმანია) — სპარტაკი (რუსეთი) 1-0

ელბერი (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| არსენალი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-6 | 4 |
| ლიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-2 | 3 |
| სპარტაკი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |

*21 თებერვალი*

**არსენალი — ლიონი**

**სპარტაკი — ბაიერნი**



მაკმანამანი

რეალი — ლაციო



ვალენსია — მანჩესტერი

კოული (შავ მაისურში) — კარბონის ორთაბრძოლა



ბაიერნი — სპარტაკი

ორი ბრაზილიელი — ალეხსანდრო ლოპესი (მარცხნივ) და ჯოვანი ელბერი

### D ჯგუფი

**რეალი (ესპანეთი) — ლაციო (იტალია) 3-2**

0-1 კრესპო (3), 1-1 მორიენტესი (32), 2-1 ელგერა (82), 2-2 გოტარდი (84), 3-2 ფიგუ (89, პენ.)

**ლიდსი (ინგლისი) — ანდერლეხტი (ბელგია) 2-1**

0-1 სტოიკა (65), 1-1 ჰარტი (74), 2-1 ბოიერი (87).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 9-3 | 9 |
| ლიდსი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-3 | 6 |
| ანდერლეხტი | 3 | 0 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| ლაციო | 3 | 0 | 0 | 3 | 2-5 | 0 |

*21 თებერვალი*

**ლაციო — რეალი**

**ანდერლეხტი — ლიდსი**

## ბაიანო დისკვალიფიცირებულია 4 თვით

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ჟუნიორ ბაიანო, რომელიც ამჟამად კლუბ „ვასკო და გამას" ღირსებას იცავს, დისკვალიფიცირებულია 120 დღით. მიზეზი კოკაინის მოხმარებაა. ამ ნარკოტიკის კვალი აღმოაჩინეს ფეხბურთელის დოპინგ-ტესტში, რომელიც აიღეს ავლანჟის თასის მეორე ფინალური მატჩის წინ „ვასკოსა" და „სან კაეტანოს" შორის. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ ბაიანოს ფეხბურთიდან ერთი თვით მოკვეთავდნენ, მაგრამ ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის წევრებმა გაცილებით მკაცრი სასჯელი გამოიტანეს.

## „რეალი" — ბუკმეკერების ჯილდა

ინგლისელი ბუკმეკერები ჩემპიონთა ლიგის მთავარ ფავორიტად ესპანეთის სამეფო კლუბს — მადრიდის „რეალს" მიიჩნევენ. ყველაზე ავტორიტეტული ბუკმეკერული კანტორა „William Hill"-ი ამ კლუბის შანსებს აფასებს როგორც 11:4-თან.

## მუნდიალი-2002: იაპონიაში საქე აიკრძალება, კორეაში — არა

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნები სხვადასხვანაირად მიუდგნენ მუნდიალის დროს ალკოჰოლიზმთან ბრძოლის საკითხს. იაპონიის ორგკომიტეტმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მატჩის დღეებში იაპონიის ყველა სტადიონზე აიკრძალება არათუ სპირტიანი სასმელებით ვაჭრობა, არამედ გარედან მათი შეტანა. იაპონელებისგან განსხვავებით, კორეაში სულაც არ აპირებენ სპირტიან სასმელებზე რაიმე შეზღუდვის დაწესებას.





## დაუმი: დიახ, კოკაინს მივმართავდი

დიდი ინტერესი გამოიწვია ლევერკუზენის „ბაიერის" ყოფილი მთავარი მწვრთნელის კრისტოფ დაუმის პრეს-კონფერენციამ კიოლნში, რომელიც ფლორიდაში 82-დღიანი ნებაყოფილობითი „ექსორიის" შემდეგ გამართა.

დაუმმა განაცხადა, რომ არაერთხელ მიუმართია კოკაინისათვის, თუმცა თავს ნარკომანად არასოდეს თვლიდა. ისე კი, არასოდეს ყოფილა გართული აკრძალური პრეპარატებით.

– არა ვმალავ, ზოგჯერ მართლაც ვიყენებდი კოკაინს, მაგრამ ამას მაშინ ვსჩადიოდი, როცა ვიყავი განმარტოებულ ადგილას. არა მგონია, რომ ეს დანაშაული იყოს, ამიტომ უადგილოა განცხადებები, თითქოს რაღაც საშინელი ჩვევა ან ავადმყოფობა მაქვს.

დაუმმა აღიარა, რომ კოკაინს მაშინ ყნოსავდა, როცა ბარძაყის სერიოზული ტრავმა აწუხებდა. „ყოველივე ამის მიუხედავად, მაინც ვნანობ და შემიძლია პასუხი ვაგო. მან განაცხადა, რომ სულაც არ აპირებს ხელი აიღოს მწვრთნელის სპეციალობაზე, მომდევნო სეზონიდან კი, აქტიურ საქმიანობას დაუბრუნდება. არ არის გამორიცხული, რომ ეს გერმანიის ფარგლებს გარეთ მოხდება.

## გამოხმაურება

## საქართველოში ფეხბურთის დანერგვის 100 წლისთავი 13 მაისს ვიზეიმოთ!

ამ თემამ, რომელიც ჩვენმა გაზეთმა წამოსწია დღის წესრიგში, ცხოველი ინტერესი გამოიწვია ფეხბურთის გულშემატკივართა შორის. რედაქციაში განუწყვეტლივ მოდის მხარდამჭერი წერილები, გვირეკავენ კიდეც. ბევრი გვთავაზობს საკუთარ წინადადებას. ბევრი მიიჩნევს, ეს თარიღი აუცილებლად წლეულს უნდა აღინიშნოს და ამას იმით ასაბუთებს, რომ მრგვალი თარიღი ამჯერად და მომავალშიც ყოველთვის ახალი საუკუნის დასაწყისს დაემთხვევა, მეტიც, ყოველი ახალი ათწლეულიც გარკვეულწილად საიუბილეო იქნება. „წლეულს საიუბილეო 100 წლისთავი, ჩემი აზრით, აჯობებს აღინიშნოს 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, როცა ფეხბურთში საქართველოს თასის ფინალური მატჩი ტარდება, ტრადიციულად შემდეგაც ამ დღეს აღინიშნება საიუბილეო თარიღი" — გვწერს ქუთაისიდან შოველ გაბრიჭიძე. განსხვავებული აზრი აქვს თბილისელ ვახტანგ სანებლიძეს, რომელიც სფფ-ს ურჩევს დააწესოს „ქართული ფეხბურთის დღე" და სწორედ იმ დღეს აღინიშნოს იუბილე წელსაც და მომავალშიც.

„ლელოს" რედაქციას მიაჩნია, რომ ქართული ფეხბურთის საიუბილეო თარიღად (გნებავთ დღედ) უნდა გამოცხადდეს 13 მაისი, მით უფრო, წლეულს იმ ღირსსახსოვარი დღიდან 20 წელი სრულდება.

## სახელოვანი ტოდოელი

გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში საქართველო განებივრებული იყო საფეხბურთო კლუბებით — თბილისის „დინამო", „სპარტაკი", „ლოკომოტივი", „ტოდო". ისინი ხომ წარმატებით გამოდიოდნენ ყოფილი სსრკ პირველობაზე. თბილისის ოფიცერთა სახლის შესანიშნავი გუნდი ყველა შეხვედრას მაყურებლებით გადაჭედილ „დინამოს" სტადიონზე ატარებდა და იმედებსაც არ უცრუებდა მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებს, იგებდა რა თითქმის ყველა შეხვედრას ასტრონომიული ანგარიშით.

გულშემატკივრებს დღესაც ახსოვთ დიდებული მწვრთნელების ნესტორ ჩხატარაშვილის და ილია ლობჟანიძის აღზრდილები: ანატოლი ნორაკიძე და შალვა ჭრელაშვილი, დოდიკ ხუნდაძე და თენგიზ მელაშვილი, რობერტ ჭანჭალეიშვილი და იური კურტანიძე, ედუარდ თორაძე და გიორგი ავეტისოვი, ვოვა რამიშვილი, გიორგი კვირკველია და კონსტანტინე ბეგლარიანი, პიოტრ ტიტოვი და რაფიელ მათევოსიანი, დიმიტრი პოდლესნი და სხვ. ამ შესანიშნავ სპორტსმენებს შორის ედუარდ დალაქიანს განსაკუთრებული ადგილი უკავია. რა დაგვავიწყებს მის მართლაც „ჯიგრიან" თამაშს — შესაშურ სისწრაფეს, უზადო ტექნიკას, მოხდენილ ფინტებს ზედ პირით ხაზზე — დრიბლინგს ფეხზე „გამობმული" ბურთით.



მეგობრული შარჟი

1949 წლის გვიანი შემოდგომაა. თვრამეტი წლის ედუარდი ტრამვაი — ტროლეიბუსების სამმართველოს („ტტუ") გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ს. სიხარულიძემ აათვალ-ჩაათვალიერა კეხიანი ცხვირის პატრონი, სწრაფი, ტექნიკური ჭაბუკი და აიყვანა კიდეც მარჯვენა გარემარბად გუნდში, რომელიც საქართველოს პირველობაზე გამოდიოდა.

1950 წელს ანდრო ჟორდანიამ იგი „სპარტაკში" მიიწვია, სადაც დახვდნენ ზაურ კალოევი, ოთარ ოთარაშვილი, გიგა ნორაკიძე, ლეგენდარული მეკარე ვლადისლავ ჟმელკოვი. სამწუხაროდ, ეს პოპულარული გუნდი დაიშალა და 1952 წელს ა. ჟორდანიამ ე. დალაქიანი თავის „მეორე სამშობლოში" ივანოვოში წაიყვანა, სადაც ადგილობრივ „კრასნოე ზნამიაში" გამოდიოდა.

კიდევ ერთი სეზონიც მიიწურა. რუსთაველის პროსპექტზე „ტოდოს" გუნდის უფროსი მწვრთნელი ნ. ჩხატარაშვილი შემოხვდა ედუარდს და... უკან აღარ გაუშვა ივანოვოში. იგი ჩაირიცხა არმიელთა გუნდში, რომელიც საკავშირო პირველობის „ბ" კლასში გამოდიოდა. ორჯერ ზედიზედ (1955 და 1956 წლებში). იგი შეიარაღებული ძალების ჩემპიონი გახდა.

1957 წელს ე. დალაქიანი ერევნის „არარატში" წაიყვანეს, სადაც მხოლოდ ერთი წელი დაჰყო და ისევ მშობლიურ თბილისს დაუბრუნდა. დინამოელთა ახალმა მწვრთნელმა გაიოზ ჯეჯელავამ მიუჩინა ადგილი თავის გუნდში. იმ წლებში „დინამოს" კრიზისი ჰქონდა. გუნდის მწვრთნელებთან ერთად ფეხბურთელებიც ხშირად იცვლებოდნენ. ედუარდ დალაქიანმა პირველ გუნდში მრავალი დასამახსოვრებელი მატჩი ჩაატარა როგორც სსრკ პირველობაზე, ისე საერთაშორისო შეხვედრებში და მაყურებელს თავი დაამახსოვრა სამაგალითო აზარტული თამაშით.

1959 წელს ისევ „ტოდოში" დაბრუნდა და იქ კიდევ ცოტა ხანს დაჰყო. 29 წლის ასაკში დაანება თავი საყვარელ საქმეს და სპეციალობით დაიწყო მუშაობა.

***ხვალ, 17 თებერვალს ჩვენი ფეხბურთის ამაგდარს, ცხოვრებაში უღალატო კაცს და ნაღდ თბილისელს, ჩვენს კეთილ უფროს მეგობარს 70 წელი უსრულდება.***

სახელგანთქმულ ტოდოელს ფეხბურთის მრავალრიცხოვან ქომაგთა სახელით მინდა კიდევ ერთხელ კაცურად მოვეფერო, შევუქო ოდინდელი ყმაწვილკაცობა და უზადო ოსტატობა, ფეხბურთისადმი სამაგალითო სიყვარული და თავდადება, გამოვხატო გულშემატკივართა გაუხუნარი აღტაცება და მადლიერება, ვუსურვო მხნეობა, სულისა და ჯანის სიმრთელე.



1955 წლის გათამაშების მატჩი კუიბიშევში „კრილია სოვეტოვთან" — შეტევაზეა „ტოდოს" გუნდის მარცხენა გარემარბი ედუარდ დალაქიანი

**დემიკო ლოლაძე**

# EUROBET-ის ფსონები

## იტალია A

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უდინეზე — ვერონა | 17.02 | 18.00 | 1,65 | 3,00 | 6.20 |
| მილანი — ბოლონია | 17.02 | 23.30 | 1,60 | 3,20 | 6,15 |
| პარმა — ბრეშია | 18.02 | 18.00 | 1,55 | 3,20 | 7.,00 |
| რეჯინა — ფიორენტინა | 18.02 | 18.00 | 2,35 | 3,10 | 2,85 |
| ბარი — იუვენტუსი | 18.02 | 18.00 | 4,30 | 3,20 | 1,80 |
| პერუჯა — ლაციო | 18.02 | 18.00 | 3,10 | 3,00 | 2,25 |
| რომა — ლეჩე | 18.02 | 18.00 | 1,30 | 4,50 | 9,20 |
| ატლანტა — ვიჩენცა | 18.02 | 18.00 | 1,70 | 2,90 | 6,00 |
| ნაპოლი — ინტერი | 18.02 | 23.30 | 2,50 | 2,85 | 2,85 |

## იტალია B

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მონცა — პესკარა | 16.02 | 23.45 | 2,60 | 2,75 | 2,85 |
| სამპდორია — ანკონა | 18.02 | 18.00 | 17,75 | 2,75 | 6,00 |
| კიევო — კროტონე | 18.02 | 18.00 | 1,70 | 2,75 | 6,75 |
| რავენა — ჯენოა | 18.02 | 18.00 | 2,20 | 2,70 | 3,65 |
| სიენა — პიაჩენცა | 18.02 | 18.00 | 2,90 | 2,40 | 2,90 |
| ჩიტადელა — პისტოეზე | 18.02 | 18.00 | 1,90 | 2,65 | 5,10 |
| კალიარი — სალერნიტანა | 18.02 | 18.00 | 1,60 | 3,00 | 7.00 |
| ტორინო — ტრევიზო | 18.02 | 18.00 | 1,40 | 3,80 | 8,15 |
| კოზენცა — ვენეცია | 18.02 | 18.00 | 2,25 | 2,50 | 3,90 |
| ემპოლი — ტერნანა | 19.02 | 23.45 | 2,65 | 2,40 | 3,25 |

## გერმანია, I ბუნდესლიგა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მიუნხენი-1860 — აინტრახტი | 16.02 | 23.15 | 1,75 | 3,35 | 4.35 |
| უნტერჰახინგი — ბაიერნი | 17.02 | 18.30 | 4,60 | 3,40 | 1,70 |
| ჰანზა — ლევერკუზენი | 17.02 | 18.30 | 3,30 | 3,10 | 2,10 |
| კოტბუსი — ფრაიბურგი | 17.02 | 18.30 | 2,25 | 3.10 | 2,75 |
| ვერდერი — შალკე-04 | 17.02 | 18.30 | 2,40 | 3.10 | 2,75 |
| ვოლფსბურგი — ბოხუმი | 17.02 | 18.30 | 1,55 | 3,70 | 5.40 |
| დორტმუნდი — ჰამბურგი | 17.02 | 23.15 | 1,65 | 3,40 | 5.00 |
| კიოლნი — კაიზერი | 18.02 | 20.30 | 2,20 | 3.15 | 3,05 |
| შტუტგარტი — ჰერტა | 18.02 | 20.30 | 2,35 | 3,10 | 2,85 |

## პორტუგალია, I დივიზიონი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ალვერკა — სპორტინგი | 17.02 | 23.00 | 3.50 | 3.15 | 2.00 |
| ლეირია — ბელენენსეში | 18.02 | 20.00 | 2,30 | 3,05 | 2,95 |
| ბეირია — ფერეირა | 18.02 | 20.00 | 2,35 | 3,00 | 2,95 |
| ამადორა — ბენფიკა | 17.02 | 01.00 | 4,90 | 3,45 | 1,65 |
| ჟილ ვისენტე — გიმარაეში | 18.02 | 20.00 | 2,20 | 3,10 | 3,10 |
| პორტო — კამპომაორენცე | 18.02 | 23.00 | 1,25 | 5,00 | 10,00 |
| სალგეირუში — ფარენსე | 18.02 | 20.00 | 1,90 | 3,25 | 3,75 |
| ბრაგა — ბოავიშტა | 17.02 | 21.00 | 2,60 | 3.00 | 2,60 |
| ავეშო — მარიტიმუ | 18.02 | 19.00 | 2,50 | 3,05 | 2,70 |

## ბელგია, I დივიზიონი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვესტერლო — მუსკრონი | 16,02 | 23.00 | 1,95 | 3,35 | 3,45 |
| მეხელენი — ლუვერსი | 17.02 | 23.00 | 1,85 | 3,40 | 3,75 |
| სტ. ტრიუდენი — ლოკერენი | 17.02 | 23.00 | 2,65 | 3,25 | 2.40 |
| ბევერენი — გენტი | 17.02 | 23.00 | 2,55 | 3,15 | 2.55 |
| ანტვერპენი — ლიერსი | 17.02 | 23.00 | 2,40 | 3,25 | 2,65 |
| შარლერუა — გენკი | 17.02 | 23.00 | 1,75 | 3,50 | 4,10 |
| აალსტი — სტ. ლუიკი | 18.02 | 18.00 | 3,45 | 3,35 | 1,95 |
| ბრიუგე — ბეერსხოტი | 18.02 | 18.00 | 1,40 | 4,25 | 6,60 |
| ჰარელბეკე — ანდერლეხტი | 18.02 | 18.00 | 5.85 | 3,80 | 1,50 |

## ინგლისი ასოციაციის თასი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი — ვესტ ჰემი | 17.02 | 16.00 | 1,90 | 3,20 | 3,80 |
| ბოლტონი — ბლექბერნი | 17.02 | 19.00 | 2,25 | 3,15 | 2,95 |
| ლესტერი — ბრისტოლი | 17.02 | 19.00 | 1,35 | 4,30 | 7.90 |
| საუთჰემპტონი — ტრანმერი | 17.02 | 19.00 | 1,40 | 4,00 | 7.35 |
| ტოტენჰემი — სტოკპორტი | 17,02 | 19.00 | 1,35 | 4,30 | 7,90 |
| უიკომბი — მიდლსბრო | 17.02 | 19.00 | 2,95 | 3,25 | 2,20 |
| არსენალი — ჩელსი | 18.02 | 18.00 | 1,95 | 3,20 | 3,65 |
| ლივერპული — მან. სიტი | 18.02 | 20.00 | 1,40 | 4,00 | 7,35 |

## ინგლისი, I დივიზიონი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბირმინგემი— ვესტ ბრომვიჩი | 17.02 | 19.00 | 2,00 | 3,20 | 3,45 |
| ქრიუ — უოტფორდი | 17.02 | 19.00 | 2,90 | 3,20 | 2,25 |
| კრ. პალასი — ნორვიჩი | 17.02 | 19.00 | 1,90 | 3,25 | 3,75 |
| ფულჰემი — ნოტ. ფორესტი | 17.02 | 19,00 | 1,50 | 3,70 | 6,10 |
| გრიმსბი — ბარნლი | 17.02 | 19.00 | 2,25 | 3,20 | 2,90 |
| ჰადერსფელდი — ჯილინგემი | 17.02 | 19.00 | 2.05 | 3,20 | 3,30 |
| ქ.პ.რ. — ბარნსლი | 17.02 | 19.00 | 2,20 | 3,20 | 3,00 |

## საფრანგეთი, I დივიზიონი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მარსელი — პსჟ | 17.02 | 20.15 | 2,15 | 3,10 | 3,20 |
| მონაკო — ბასტია | 17.02 | 23.00 | 1,80 | 3,25 | 4,20 |
| გენგამი— ლილი | 17.02 | 23.00 | 2,30 | 3,00 | 3,00 |
| ტულუზა — ლიონი | 17.02 | 23.00 | 2,80 | 3,00 | 2,45 |
| ტრუა — მეცი | 17.02 | 23.00 | 1,75 | 3,30 | 4,40 |
| ლენსი — რენი | 17.02 | 23.00 | 2,10 | 3,05 | 3,35 |
| სტ. ეტიენი — სედანი | 17.02 | 23.00 | 2,25 | 3,00 | 3,10 |
| ნანტი — სტრასბური | 18.02 | 21.30 | 3,75 | 3,75 | 7.00 |
| ბორდო — ოსერი | 18.02 | 23.45 | 1,75 | 3,25 | 4,50 |

## ესპანეთი, პრემიერადივიზიონი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლას პალმასი — ვალენსია | 17.02 | 24.00 | 2,65 | 3,00 | 2,55 |
| რეალი — სანტანდერი | 17.02 | 24.00 | 1,25 | 5,00 | 10,00 |
| ბარსელონა — ლა კორუნია | 17.02 | 24.00 | 1,80 | 3,30 | 4,15 |
| სოსიედადი — ესპანიოლი | 18.02 | 20.00 | 2,40 | 3,10 | 2,75 |
| სელტა — რაიო | 18.02 | 20.00 | 1,90 | 3,20 | 3,80 |
| ოსასუნა — ალავესი | 18,02 | 20.00 | 2,40 | 3,05 | 2,80 |
| სარაგოსა — ოვიედო | 18,02 | 20.00 | 1,65 | 3,40 | 5,00 |
| ვილიარეალი — ვალიადოლიდი | 18.02 | 20.00 | 1,80 | 3,20 | 4,30 |
| ნუმანსია — მალაგა | 18.02 | 20.00 | 2,30 | 3,10 | 2,90 |
| მალიორკა — ბილბაო | 18.02 | 20.00 | 1,75 | 3,30 | 4,40 |

# ფიფა-კოკა-კოლას რეიტინგში წინ ისევ ბრაზილიაა

**მსოფლიოს წამყვანი ნაკრები გუნდების ათეული ამჟამად ასე გამოიყურება: 1. ბრაზილია — 818 ქულა, 2. საფრანგეთი — 799, 3. არგენტინა — 769, 4. იტალია — 740, 5. ჩეხეთი — 739, 6. პორტუგალია — 736, 7. ესპანეთი — 732, 8. ჰოლანდია — 706, 9. იუგოსლავია — 705, 10. პარაგვაი — 704. საქართველოს ნაკრები ისევ მეშვიდე ათეულის გუნდებს შორისაა.**

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ისტორიისა და სტატისტიკის ვერსიით XX ასწლეულის საუკეთესო ფეხბურთელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ოქროს მტაცებელი" ტოსტაო

*(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №5-7, 9-11 2001)*

## წარსულსა და აწმყოს შორის

ჩემს დროსაც იყო უხეში, უაღრესად ხისტი, მუხანათური თამაში, მაგრამ ამდენი ძალით დარღვევა, რაც თამაშს ჰპოჭავს, მწყობრიდან გამოიყვანონ წამყვანი მოთამაშეები, არ ყოფილა. მეტოქის დაფასება იცოდნენ, როგორც მინდორზე, ისე მის მიღმა. ფეხბურთი, ისევე როგორც მთელი საზოგადოება, ეთიკურ ნორმებს იცავდა. ახლა უფრო ეგოისტურ საზოგადოებაში გვიხდება ცხოვრება, სადაც გამართლებულია ყველაფერი პირადი მიზნის მისაღწევად. ნებსით თუ უნებლიედ მწვრთნელები, დამარცხების შიშით, ნებისმიერ უხეშობას აქებენ. ასწავლიან ხელქვეითებს: არ მისცეთ მეტოქეს თამაშის საშუალება, მოსპეთ ესა და ეს ჯეელი. გაჩნდნენ მოთამაშე-„პოლიციელები", რომლებიც ნადირობენ „ბანდიტებზე". სასარგებლოდ მიმაჩნია სიახლე რიო – სან-პაულუს ტურნირში, სადაც კოლექტიური და ინდივიდუალური „ფოლის" საჯარო აღრიცხვაა. ეს ციფრებშიც გამოიხატა: იმატა გოლების რაოდენობამ, ბურთი დიდხანს იყო თამაშში, გაიზარდა ზუსტი გადაცემები და კორექტურად ბურთის წართმევა. ამგვარად, გალამაზდა ფეხბურთი, მოგებულია მონაწილეცა და მაყურებელიც. მიმაჩნია, რომ ეს გვარწმუნებს აუცილებლობაში, წესებში ცვლილებების შესატანად. იქნებ, შეიცვალოს მოთამაშე, როგორც კალათბურთში, ხუთი „ფოლის" შემდეგ, რომ ტოვებს მოედანს. მოსაფიქრებელია გუნდური დასჯის შემოღება, ოღონდ ისე არა, როგორც მინიფეხბურთშია, სადაც პენალტებით ისჯებიან – ეს დანაშაულის არაადექვატურია, რაც მსაჯების ვოლუნტარიზმამდე მიგვიყვანს.

მართალია, ფეხბურთი კონტაქტური, ვაჟკაცური თამაშია, მაგრამ ბრძოლა არაა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მართებულად მიმაჩნია, რომ ახლა მსაჯები განსაკუთრებით მკაცრად სჯიან დარღვევისათვის, რაც სულაც არაა აუცილებლობით გამოწვეული და იგი მეტოქის უპატივცემლობასა და ტრავმის მიყენების სურვილს მოწმობს. უკნიდან თავდასხმასა და მინდვრის შუაში და მის განაპირას „ფოლს" ვგულისხმობ.

აგრეთვე მომხრე ვარ: ტაიმ-აუტის და ნებისმიერი რაოდენობის მოთამაშეთა შეცვლის, მეკარე ბურთს ხელში არ უნდა იღებდეს მაშინაც, თუ თავით, ან აუტიდან აწვდიან მას, დამატებით დროში პირველი გოლის. აი, აუტიდან ბურთის დარტყმით შეყვანა და მეკარის ექვსწამიანი დრო ბურთის თამაშში შესაყვანად მოგონილად მეჩვენება.

## მწვრთნელის როლი

სრულიად აშკარაა, კარგ მწვრთნელს დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი გუნდის წარმატებისათვის, იგი ხელმძღვანელიცაა და სტრატეგიც. და მაინც შედეგს მრავალი კომპონენტი აქვს: მოთამაშეთა ხარისხი, ფიზიკური მომზადება, ემოციური განწყობა, საფეხბურთო მეურნეობის ორგანიზაცია, ტორსიდების მხარდაჭერა და ასე შემდეგ. და ბოლოს, უბრალოდ, გამართლებაა.

რომელია უკეთესი მწვრთნელი: თეორეტიკოსი, ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტზე განსწავლული, თუ ყოფილი მოთამაშე? ეს კითხვა ხშირად გაისმის, თუმცა პასუხი აშკარაა: ყოფილი დიდი crague-ოსტატიც კი ჯერ არ არის მწვრთნელი. აუცილებელია სხვა თვისებებიც, პირველ ყოვლისა, განათლება, შრომისუნარიანობა, დისციპლინა და ხალხთან მოქცევის უნარი.

მეორეს მხრივ, თეორეტიკოსი, რომელიც არ ყოფილა მოთამაშის „ტყავში", მრავალ სიძნელეს წააწყდება, ვინაიდან მოთამაშე ქვეცნობიერად, ინტუიციურად მოქმედებს, რასაც ვერც ერთ წიგნში ვერ ამოიკითხავ.

მოთამაშეს მარტო ტაქტიკური თვალსაწიერის გაფართოება კი არა, ფსიქოლოგიური მხარდაჭერაც სჭირდება. „კრუზეიროში" მუშაობდა ფსიქოლოგი, მას ნაკრების მოსამზადებლად იწვევდნენ. მისი ამოცანა ის იყო, რომ ფეხბურთელი განეწყო მოკლე დროში წინაღობის დასაძლევად.

მე მიმაჩნია, რომ ინდივიდუალური ფსიქოლოგიური მომზადება უნდა მიმდინარეობდეს ხანგრძლივად. მაგალითად, ტორსიდების ნეგატიური ზემოქმედება, დეპრესიიდან გამოყვანა, რწმენის განმტკიცება, დამარცხების ტვირთის ან წარმატების ეიფორიის მოხსნა.

ვინ უნდა განსაზღვროს სპორტული ფორმის დაკარგვა ფსიქოლოგიური, ფიზიკური თუ ტექნიკური პრობლემაა? ბევრი ახალგაზრდა ტალანტი იკარგება მყარი ემოციური სტრუქტურის უქონლობის გამო. მეკარე შეიძლება კალაპოტიდან ამოაგდოს გაშვებულმა „პეპელამ", ანუ როგორც ჩვენ ვუწოდებთ ასეთ გოლებს, „წიწილამ". ფორვარდი კი, უეჭველი გოლის გაცუდებამ. თავს დაღუნავენ, თამაში უარესდება. საწინააღმდეგოდ, შემიძლია დავასახელო ჟილმარი, პელე, დღევანდელთაგან – ესპანელი რაული, რომლებსაც შეეძლოთ და ახლაც შეუძლიათ კონცენტრაციის მოხდენა წარუმატებლობის შემდეგ, თავიანთი შესაძლებლობების რწმენა განიმტკიცონ და უფრო მაღალ დონეზე ითამაშონ. თამაში – მარტო კუნთები და ჩვევები კი არა, სულიცაა.

## CRAGUE

რა არის crague? რამდენიმე თვისების ჩამოთვლა შეიძლება: ეს ისაა, ვისაც თამაშის წაყვანა შეუძლია, პირველ ყოვლისა, სხვების მაგივრად ფიქრობს მეტოქეზე, მაყურებელზე, ზემოქმედების უნარი აქვს... ამ თვისებებს „გარედან" ვერ შეიძენ, შეიძლება შენში აღმოაჩინო, განავითარო და გამოიყენო. სხვებს ჰგონიათ, რომ crague – ეს არის ის, ვინც კარგად ასრულებს ყველა ელემენტს: ჩაწოდებას, ფინტს, დარტყმას, ირჩევს ხელსაყრელ ადგილს, ურთიერთმოქმედებს პარტნიორებთან და ასე შემდეგ. ამის გამომუშავება შეიძლება, ან როგორც მინიმუმი სრულყოფა, თუ გულმოდგინედ ივარჯიშებ. ფსიქოლოგები შეგვახსენებენ, რომ აუცილებელია აგრეთვე სითამამე, ურყევობა, შენი თავის რწმენა, მიძღვნა, დისციპლინა. მისტიკოსები ირწმუნებიან, რომ crague ღმერთისგან მოდის. მე კი მიმაჩნია, რომ კერპები მხოლოდ პატარების სიზმრებშია, შემდეგ, ვითარებისაგან გამომდინარე, ეს ოცნებები ასრულდება ან არ ასრულდება. ამის ახსნა კი, ძნელია. კერპად შეიძლება იყო, ან არა. ისინი არაორდინარული პიროვნებებია, პლიუსებითა და მინუსებით, რაც ადამიანის არსებას ახასიათებს.

ამავე დროს არიან ე.წ. „ცუდი ბიჭები" ნეგატიური ყოფაქცევით, რომ ვერ აკონტროლებენ თავიანთ აგრესიულ იმპულსებს, თავიანთ მოქმედებებზე პასუხის გაცემა არ ძალუძთ. ხშირად მათ არაორდინარობას მიიჩნევენ ტალანტად. მათგან ქმნიან კერპებს, რაც დიდი შეცდომაა.

## ფეხბურთის ტექნოლოგია

ჩვენ დროს არ იყო მეცნიერება ფეხბურთის შესახებ, არც ინდივიდუალური და კოლექტიური მოქმედების ანალიზი, სპეციალური კვება და სამედიცინო ტესტირება. დღეს კომპიუტერიზაციამ ფეხბურთშიც შეაღწია. ჩვენს მწვრთნელთაგან მისგან ენახათ რაიმე სარგებლობა, პირველი კარლოს ალბერტო პერეირა და კლაუდიო კუტინიო იყვნენ. ქება-დიდება მათ. დღეს კომპიუტერები დიდოსტატებზე მეტწილად უკეთ თამაშობენ ჭადრაკს. ასევე ხომ არ მოხდება ფეხბურთში. ვფიქრობ, არა. იმიტომ, რომ ფეხბურთში 90 პროცენტს კომპიუტერული წესებით არ თამაშობენ, იგი საჭადრაკო თეორიების მსგავსად წინასწარი სვლებისაგან არ შედგება, ფეხბურთი უფრო მეტოქის შეცდომებზეა აგებული, რომელიც ჯერ არავის შეუტყვია წინასწარ. ყოფილი მეცნიერ-მუშაკი ფილიპო ნუნესი „კრუზეიროს" ავარჯიშებდა, დადგებოდა პროფესორის პოზაში და გვეკითხებოდა: „რამდენი ბურთი გაიტანე? შენ კი რამდენი საგოლე ჩაწოდება გქონდა? თუ არაფერი გქონდა გაკეთებული, ე.ი. ჩათვალე, რომ დღეს არ გითამაშია. ვუსმენდით, და გუნებაში გვეცინებოდა. ისე, მისასალმებელი უნდა იყოს ფეხბურთში მეცნიერებისა და ხელოვნების გაერთიანება. დღეს ეს სათანადო დონეზე არაა, მოვიყვან რამდენიმე მეცნიერებასთან ახლო ხასიათის რამდენიმე ცნებას.

„საუკეთესო დაცვა შეტევაა" – თუმცა გუნდი, რომელიც მხოლოდ უტევს და დაცვა არ იცის, წაგებული აღმოჩნდება.

„ვარჯიში ვარჯიშად, თამაში კი, თამაშად" – ვინც ბევრს ვარჯიშობს, ყოველთვის კარგად როდი თამაშობს, მაგრამ, ვინც არ ვარჯიშობს, არასოდეს თამაშობს კარგად.

„2-0 – სახიფათო შედეგია" – ეს ცნობილია, უფრო სახიფათო ვიდრე 3-0, მაგრამ 1-0-ზე ნაკლებად.

„პენალტი ლატარიაა" – ესეც მართალია, მაგრამ ამ ლატარიის მოსაგებად, უნდა გავარჯიშდე. შენს თავში დარწმუნებული უნდა იყო და ცოტა ბედის წყალობაც გქონდეს.

„მთავარია მონაწილეობა" – ვიტყოდი, რომ მთავარი – გამარჯვებაა, მეტოქის დაფასება.

„სტუმრად ფრეც – კარგია" – მაგრამ იმისთვის არა, ვინც ჩემპიონობას უმიზნებს, ვინაიდან ორი ქულა იკარგება.

„მცველს მიზანში უნდა ჰყავდეს ამოღებული ბურთი კი არა, მეტოქე" – ნახევარი სიმართლეა: ცალი თვალი ბურთზე უნდა გეჭიროს, მეორე – მეტოქეზე.

„ფეხბურთი სიურპრიზებითაა აღსავსე" – წაგებულისთვის კარგი გამართლებაა.

„მწვრთნელს ხელში უჭირავს გუნდი" – ასე ფიქრობს იგი. ვცდებოდი, როცა ვფიქრობდი: სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ უფრო მაღალი რანგის კარიერას ვეწევი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მაღალია ინტელექტუალურად. სპორტი ადამიანის შემოქმედებითი სახეობაა. ემოციურად უაღრესად მდიდარია. სხეულის საშუალებით ითვისებ გრძნობას. „სხეული – ჩვენი სულის აჩრდილი", – თქვა ფილოსოფოსმა. სხეული არ გვიმტყუნებს. ამიტომაც სპორტი, უპირატესად ავითარებს ჩვენს ფიზიკურ შესაძლებლობებს, თავისთავად წმინდაა, სწორხაზოვანი, აუცილებელი.

*(დასასრული იქნება)*



*1970 წ. მეხიკო. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ბრაზილიის ეროვნული ნაკრები. მარცხნიდან: კარლოს ალბერტო, ბრიტო, გერსონი, პიაცა, ევერალდო, ტოსტაო, კლოდუალდო, რიველინო, პელე, ჟაირზინიო, ფელიქსი.*

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## სასტიკად დაისაჯნენ კოკაინისათვის

შოტლანდიურმა კლუბმა „სენტ-ჯონსტონმა" კოკაინის გამოყენებისათვის დაუყოვნებლივ გააძევა თავისი რიგებიდან 33 წლის ნახევარმცველი, ირლანდიის ნაკრების წევრი ჯორჯ ო'ბოილი და 25 წლის თავდამსხმელი კევინ თომასი, რომლებიც ქ. პერტის ერთ-ერთ კლუბში „ერთობოდნენ".

— დაუყოვნებლივ გავწყვიტეთ მათთან ხელშეკრულება, — განაცხადა „სენტ ჯონსტონის" დირექტორ-აღმასრულებელმა სტიუარტ დაფმა, — ასეთ მოთამაშეებს ჩვენს რიგებში არ გავაჩერებთ, რადგან ისინი ცუდ გავლენას ახდენენ ახალგაზრდებზე. წმინდად ვიცავთ ტრადიციას და პასუხისმგებლობას ვგრძნობთ იმ ჭაბუკ მოთამაშეებზე, რომლებიც მშობლებმა მოგვანდეს.

ორივე ეს დასჯილი ნარკომანი კარგა ხანია ტრავმების გამო არ თამაშობდა და ამ უბედურ ეპიზოდამდე აღსადგენ ვარჯიშებში მონაწილეობდა.

## თუკი პალერმო გაიყიდება

ბევრ მიმომხილველს უკვირს, რომ შესანიშნავი თავდამსხმელი მარტინ პალერმო გადავიდა არა რომის „ლაციოში", არამედ მოკრძალებულ ესპანურ „ვილიარეალში". მისი კონტრაქტი ოთხნახევარწლიანია, ხოლო ტრანსფერის ღირებულება — 10 მილიონი დოლარი. ამასთან, როგორც პალერმოს ადრინდელი კლუბის „ბოკა ხუნიორსის" პრეზიდენტი ფერნანდო როიგი აცხადებს, თუკი შემდეგ ესპანელები ამ ფეხბურთელს გაყიდიან, არგენტინის ჩემპიონმა იმ ახალი კონტრაქტიდან თანხის 50 პროცენტი უნდა მიიღოს. „ვილიარეალში" უკვე თამაშობს „ბოკას" ორი ყოფილი ფეხბურთელი: მცველი როდოლფო არუაბარენა და ნახევარმცველი დიეგო კანია. მალე „ვილიარეალში" უნდა გადავიდეს „ბოკა ხუნიორსის" ცნობილი ნახევარმცველი გუსტავო ბაროს სკელეტო.

## რონალდო მეტი დატვირთვით ვარჯიშობს

მას შემდეგ, რაც რონალდომ პარიზში თავისი მკურნალი ექიმი მოინახულა და მტკივანი ფეხის მდგომარეობა კიდევ ერთხელ შეამოწმებინა , შეუძლია მეტი დატვირთვით ივარჯიშოს. მაინც როდის დაბრუნდება განთქმული თავდამსხმელი მინდორზე? „ინტერის" ხელმძღვანელობას სეზონის ბოლომდე დიდი იმედები არა აქვს, თუმცა ზოგი იტალიელი სპეციალისტი დაბრუნებას შესაძლებლად მაისში მიიჩნევს, ბრაზილიაში კი უფრო ოპტიმისტურადაც კი არიან განწყობილი.

## ჩინებული დუეტი: ვლადიმირ ნიდერგაუზი – ვასო სეფაშვილი

ყაზახეთის ახალი დედაქალაქის — ასტანის (ყოფილი ცელინოგრადი) კლუბი „ჟენისი" (ყაზახურ ენაზე „გამარჯვებას" ნიშნავს) ახლა თავის ქვეყანაში უძლიერესად ითვლება. ამ ძლიერი კლუბის შექმნაში დიდი როლი შეასრულა მისმა ქართველმა პრეზიდენტმა გრიგოლ ლორიამ. გუნდში განსაკუთრებით გამოირჩევა თავდამსხმელთა დუეტი: კარგად ცნობილი ფეხბურთელი, რომელიც ადრე ვოლგოგრადის „როტორსა" და ისრაელის „მაკაბიში" თამაშობდა, ეროვნებით გერმანელი, 33 წლის ვლადიმირ ნიდერგაუზი (ქვეყნის ჩემპიონატში გაიტანა 15 გოლი) და ვასო სეფაშვილი (12 გოლი).

## ბერხკამპი: ლონდონში დარჩენა მინდოდა

დენის ბერხკამპი ძალიან კმაყოფილია იმით, რომ ახალი კონტრაქტით იგი ლონდონის „არსენალში" 2003 წლამდე დარჩება. ჰოლანდიელის აზრით, ეს იქნება უკანასკნელი ხელშეკრულება მის კარიერაში:

— 12 წელი გავატარე ამსტერდამის „აიაქსში", ამის მიუხედავად ყოველთვის მეტად დიდ პატივს ვცემდი ლონდის „არსენალს", მისი გულშემატკივარი ვიყავი და ვარ. მინდოდა, ამ კლუბში სამუდამოდ დავრჩენილიყავი.

## აიალა: „სულაც არა ვარ ბარბაროსი"

„ვალენსიის" მცველმა ფაბიან აიალამ ესპანურ პრესას განუცხადა, რომ სულაც არ არის ბარბაროსი, როგორც მას „ბარსელონას" თავდამსხმელმა სიმან სამბროზამ უწოდა ამ გუნდების შეხვედრის შემდეგ.

ლაპარაკია ეპიზოდზე, რომლითაც ტელევიზიამ რამდენჯერმე ფართო პლანით „ჩაიტკბარუნა პირი": აიალა ფეხებში ჩაუვარდა მეტოქეს და ორივენი მიწაზე აღმოჩნდნენ. ვალენსიელმა წამოდგომა სცადა და პირდაპირ გადაუარა პორტუგალიელს.

სამბროზამ დაიჩივლა, რომ აიალამ გათელა, თავი, მკერდი დაუზიანა და გაკვირვებული დარჩა, რომ მცველს წითელი ბარათი არ მიუღია. მისი ვიზავი კი უარყოფს თავის მოქმედებას ბოროტი განზრახვით, ამტკიცებს, შენელებული გამეორება უარესად აჩვენებს სიტუაციას, ვიდრე ნამდვილად იყო.

„არ უარვყოფ: ხისტი მოთამაშე ვარ. მაგრამ არასოდეს დავალ იქამდე, რომ ვინმეს ვავნო", — თქვა სეზონის დასაწყისში „მილანიდან" „ვალენსიაში" გადასულმა აიალამ.

ინციდენტმა ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის ყურადღება მიიპყრო. შარშან რამდენიმე შემთხვევა იყო, როცა ვიდეოგანხილვის საფუძველზე დამრღვევებს სასჯელის სანქციები გამოუტანეს.

„თუ დამსჯიან, ეს უსიამოვნო სიურპრიზი იქნება, — აღიარა აიალამ, — სიმანს ბოდიშს ვუხდი. ეს იყო ერთ-ერთი შეტაკება, რომელიც უამრავია ნებისმიერ მატჩში".

## ოჯახის უსაფრთხოებაზე ზრუნავს

ინგლისურ კლუბ „ქოვენთრი სიტის" მწვრთნელმა გორდიან სტრახანმა საფეხბურთო მატჩებზე დასწრება აუკრძალა თავის ოჯახს.

მიზეზი: გაშმაგებული ფანატების შეურაცხყოფა!

„ჩემი ცოლი უკეთ გრძნობდა თავს, როცა ვთამაშობდი, ვინაიდან მინდორზე ვიყავი და შემეძლო გავლენა მქონოდა თუ რაიმე ისე არ იყო. მწვრთნელის ხვედრი სხვანაირია, ახლა ცოლი უხერხულად გრძნობს თავს. ერთი კილომეტრით გარს უვლის სტადიონს. საშინელებაა, ფეხბურთში რომ ასეთი რამ ხდება", — განაცხადა სრტახანმა კლუბის საიტზე.

ამას წინათ „ქოვენთრიმ" წააგო „ევერტონთან" და ბოლოსწინა ადგილზე დაეშვა გათამაშების ცხრილში. გულშემატკივრებმა საპროტესტო აქცია მოაწყვეს, სკანდირებდნენ: „სტრახან, მოშორდი!" და ამის მსგავის ლოზუნგები. და მაინც, შერისხული მწვრთნელი მედგრადაა და კლუბის დატოვებას არ აპირებს. პრეზიდენტი რიჩარდსონი მხარს უჭერს და ფიქრობს, რომ პირველ ყოვლისა, ფეხბურთელები არიან დამნაშავენი და არა მწვრთნელი.

## „უფერგიუსონოდ „მანიუ" დაიშლება"

„ლივერპულის" კაპიტანს ჯიმი რედნაპს სხვა რა საქმე აქვს — წლევანდელ სეზონს ტრავმის გამო სახლში ატარებს, ზის და პროგნოზებს აკეთებს. ამით იგი ხალხს თავისი არსებობის შესახებ ახსენებს. აი, რა თქვა მან ინგლისელ ჟურნალისტებთან საუბარში „მანჩესტერ იუნაიტედის" გუნდის შესახებ: „მანიუს" ერა მალე ჩაესვენება, სულ დიდი ამ გუნდმა კიდევ ერთი წელი იბატონოს. მას შემდეგ, რაც მანკუნიანთა თავკაცი ალექს ფერგიუსონი გუნდიდან წავა, დადგება „ლივერპულისა" და „ლიდსის" დრო.

## ადვოკაატის თავზე ცა მოიქუფრა

ბევრი ითმინეს „გლაზგო რეინჯერსის" ფანებმა, მაგრამ ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს. ისინი ახლა ძალიან გააქტიურდნენ. მათი მოთხოვნა ერთია — კლუბის ხელმძღვანელობამ სასწრაფოდ მოიწვიოს კრება და სამსახურიდან დაითხოვოს ჰოლანდიელი მწვრთნელი დიკ ადვოკაატი, რომლის მეთაურობითაც გუნდი ჩემპიონთა ლიგიდან და შემდგომში უეფას თასის გათამაშებიდან გავარდა. მაგრამ ეს კიდევ არაფერია, ყველაზე მტკივნეული ის არის, რომ „გლაზგომ" ჩემპიონობისათვის ბრძოლის ყოველგვარი შანსი დაკარგა — მთავარ კონკურენტს, „სელტიკს" მთელი 12 ქულით ჩამორჩება.

ახლა ადვოკაატს არ ჰკითხავთ, უნდა კი მას წასვლა? „ჩემი კონტრაქტი რეინჯერებთან კიდევ წელიწადნახევარი გრძელდება და ამ პერიოდში გუნდში ვიმუშავებ, — თქვა მწვრთნელმა ჟურნალისტებთან საუბარში, — დასრულდება თუ არა სეზონი, გუნდის შემადგენლობის სერიოზული რეკონსტრუქცია მაქვს განსაზღვრული და შემდეგ სეზონში სულ სხვა „რეინჯერსს" იხილავთ". ადვოკაატის განცხადებით გუნდის ჩავარდნის მთავარი მიზეზი არასწორად შედგენილი სათამაშო კალენდარი, ცუდი გაზონები და ზოგიერთი ფეხბურთელის საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულების ბრალია. მიუხედავად მწვრთნელის ასეთი განმარტებისა, გულშემატკივრები არ ცხრებიან: „წადი სახლში დიკ! — მოუწოდებენ „რეინჯერსის" თავკაცს.



## ულფ კირსტენი: მალე დავასრულებ

ცნობილი გერმანელი თავდამსხმელი ულფ კირსტენი, ეროვნული ნაკრების წევრად ითვლება, 2001-2002 წლების სეზონში თავისი ხანგრძლივი კარიერის დასრულებას აპირებს.

— სწორედ ამ დროს მთავრდება ჩემი კონტრაქტი ლევერკუზენის „ბაიერნთან". ვფიქრობ, რომ კიდევ შევძლებ მაღალ დონეზე თამაშს, დავასრულებ კარიერას. იმ დროისათვის კირსტენი 36 წლისა იქნება.

## „მილანი" ლაზარეთად იქცა

**იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა**

მსოფლიოში უძლიერესად აღიარებულ „სერია A"-ში მეორე წრე დაიწყო და მიმომხილველთა აზრით, ჩემპიონობის პრეტენდენტი სამია: დედაქალაქის კლუბები „რომა" და „ლაციო", აგრეთვე ყოფილი დედაქალაქის „იუვენტუსი". უფრო კონკრეტულია პროგნოზში ახლო წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ბრუნო კონტი, რომელიც ტურინელებს ჩემპიონობის რეალურ პრეტენდენტად არა თვლის და უპირატესობას რომაულ კლუბებს აკუთვნებს. მათ ხომ მეტად ძლიერად წარმართეს პირველი წრე, ამასთან, თუ „რომა" თავიდან ბოლომდე თანაბრად თამაშობდა, არანაკლებ მძლავრ „ლაციოში" ერთხანს იყო ერთგვარი გაურკვევლობის პერიოდი, როცა სანახევროდ ინგლისში გადაბარგებული სვენ-გორან ერიქსონი მაინც უძღვებოდა მატჩებს. მას შემდეგ კი, რაც შვედი დინო ძოფმა შეცვალა, ჩემპიონმა კვლავ ჩვეული ძალითა და ენერგიით დაიწყო თამაში.

„რომას" (42 ქულა აქვს) თამაში მეტად ძლიერ, დამაჯერებელ შთაბეჭდილებას სტოვებს. თავდასხმამ უკვე გაიტანა 35 გოლი და ამ მაჩვენებლით იტალიაში პირველია. მისი უდავო ლიდერია ბატისტუტა, 14 გოლით, პირველი სნაიპერის წოდების უპირველესი კანდიდატი. 10 გოლი გაიტანა ტოტიმ, საბრძოლოდ არიან შემართული თავდამსხმელები, დელვეკიო და მონტელა. დაცვით ხაზებში „რომას" ოთხი ბრაზილიელი ჰყავს: კაფუ, რომელიც ხშირად გადის წინ, ალდაირი, ზაგო, ახალი შენაძენი ემერსონი. ძირითად შემადგენლობაში ადგილი გაინაღდა არგენტინულმა სამეულმა, ხშირად თამაშობს ურუგვაელი გიგუ. ცნობილი იაპონელი ნაკატა უკმაყოფილო იყო, რომ იშვიათად გამოჰყავდათ მინდორზე, ერთხანს „მანჩესტერ იუნაიტედთანაც" კი გააბა მოლაპარაკება...

აქვს თუ არა „რომას" საერთოდ სუსტი ადგილი? მან ყველაზე ნაკლები გოლი (14) გაუშვა, მაგრამ მწვრთნელი კაპელო მთლად კმაყოფილი არ არის მეკარეებისა: მორიგეობით თამაშობენ ანტონიოლი და ლუპატელი. ამიტომ კლუბის მესვეურები აპირებენ მოლაპარაკება გამართონ ტოლდოსთან, ბუფონსა ან ვან დერ სართან (ეს მხოლოდ ახალი სეზონიდან შეიძლება მოხდეს, რახან გადასვლების პერიოდი იტალიის „სერია A"-ში იანვრის მიწურულს დამთავრდა). ახლანდელ ჩემპიონატში კი, რომ იტყვიან, რაც არის, ეს არის. აი, ის კი არ არის ცნობილი, დარჩება თუ არა სახელოვანი მწვრთნელი ფაბიო კაპელო „რომაში". იგი ადრე უკვე იყო იტალიის ჩემპიონი „მილანში", ესპანეთისა — „რეალში", ახლა მას გულმოდგინედ იწვევს „ბარსელონა". თუ ეს დიდი სპეციალისტი „რომას" დატოვებს, ამან კარგი შედეგები არ უნდა მოიტანოს. კლუბის პრეზიდენტი ფრანკო სენსი კაპელოს ჯერ არ სთავაზობს ახალ კონტრაქტს: „ყველაფერს თავისი დრო აქვს. მით უმეტეს, რომ კაპელო დაგვპირდა, არსად წავალო. მე კი მის სიტყვებს ისე ვენდობი, როგორც საკუთარს".

ერთი სიტყვით, „რომას" წელს მხოლოდ ჩემპიონობა აძლევს ხელს. მან საჭიროდ ჩათვალა გამოსთხოვებოდა თავდამსხმელ პაოლო პოჯისა და ბელორუს მცველ სერგეი გერენკოს, სულ ერთია, ისინი ძირითად შემადგენლობაში მაინც ვერ ხვდებოდნენ.

„იუვენტუსი" (36 ქულა), რომელმაც შარშანდელ პირველობაზე ბოლო ტურში უცნაურ პირობებში დაკარგა ჩემპიონობა, წელს ამის გამეორებას აღარ აპირებს. აქ მიმომხილველები იმასაც აღნიშნავენ, რომ რომის „სტადიო ოლიმპიკზე" ლიდერმა ვერაფერი დააკლო (მატჩს 80 ათასი გულშემატკივარი ესწრებოდა!) „ბებერ ქალბატონს" — 0-0. საინტერესოა, რომ კარლო ანჩელოტი, რომელიც ტურინელებს უკვე კარგა ხანია ხელმძღვანელობს, არავითარ შემთხვევაში არა სცვლის სათამაშო სქემას, რომელიც ადრინდელმა, განთქმულმა მწვრთნელმა, ამჟამად უმუშევარმა მარჩელო ლიპიმ შეიმუშავა. „რომასი" არ იყოს, „იუვენტუსშიც" რაიმე სუსტი ადგილის მოძებნა პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს არის ბრწყინვალე ანსამბლი, რომელსაც წარმართავს განუმეორებელი ზიდანი. მან ამას წინათ განაცხადა, რომ უარს იტყვის ყოველგვარ წინადადებაზე და სამუდამოდ „იუვენტუსში" დარჩება. იგივეს ამბობს მეორე წამყვანი მოთამაშე ფილიპო ინძაგი, რომელსაც ახლა გუნდში მრისხანე მეტოქე ჰყავს — ფრანგი ტრეზეგე. მათ ზოგჯერ კოვაჩევიჩი სცვლის. „იუვენტუსი" სტუმრად „რომაზე" უარესად არ გამოიყურებოდა, თვით მატჩი კი იტალიური „ინტელექტუალური ფეხბურთის" ნამდვილ ნიმუშად ჩაითვალა.

ჩემპიონი „ლაციო" (34 ქულა), ცხადია, სულაც არ აპირებს ფარხმალის დაყრას. ბოლო ტურში საკუთარ მინდორზე ბერგამოს „ატლანტასთან" მისი უფერული თამაში მიმომხილველებმა იმით ახსნეს, რომ მოთამაშეები შეგნებულად იზოგავდნენ ძალას ჩემპიონთა ლიგის უახლოესი მატჩისათვის (0-0). მანამდე კი, „ლაციომ" დინო ძოფის ხელმძღვანელობით ზედიზედ ოთხი მატჩი მოიგო. საინტერესოა, რომ „პაპა დინომ" გუნდში მოსვლის შემდეგ გაამხნევა ის ფეხბურთელები, ერიკსონის დროს ასე თუ ისე, დაჩაგრულად რომ გრძნობდნენ თავს. ეს, პირველ რიგში, ეხება ჩილელ სალასს, რომელმაც განაცხადა: „სწორედ ახლა დავიწყე ჩემი ნამდვილი თამაში, რაც გუნდი დინო ძოფმა ჩაიბარა". აშკარად გამხნევდა კრესპო, რომელმაც ბოლო მატჩებში 7 გოლი გაიტანა, საერთოდ კი, უკვე 11-ჯერ აიღო მეტოქის კარი და აპირებს ბატისტუტასა (14) და შევჩენკოს (13) დავაში ჩაერიოს. თუმცა ასეთი განზრახვა ტოტის, კიეზას და გერმანული წარმოშობის იტალიელ ჰიუბნერსაც („ბრეშია") აქვთ.



უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონობის პრეტენდენტთა რიცხვი მხოლოდ ამ სამი სუპერკლუბით შემოიფარგლება. კიდევ რამდენიმე მათგანი მეტად შეუპოვრად იბრძვის ევროტურნირებში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად, მათ შორის იტალიურ პრესაში „აგრესიულ პროვინციელებად" წოდებული „ატლანტა" (30), „პერუჯა" (26) და „უდინეზე" (25).

ძალზე უცნაური ამბები ხდება „მილანში" (27), სადაც ახლა სისტემატურად თამაშობს კახი კალაძე. კლუბი მეხუთე ადგილზეა და უკვე ყოველდღიურად ლაპარაკობენ ალბერტო ძაკერონის შეცვლაზე. მას თავისი მომხრეებიც ჰყავს, რომელთა აზრით, არ ღირს იმ მწვრთნელის გამტყუნება, რომელსაც სეზონის დასაწყისში ფაქტობრივად ორი შემადგენლობა ჰყავდა, ახლა კი იმდენი მოთამაშე დაუშავდა, რომ აღარც კი იცის, ვინ გამოიყვანოს მინდორზე. „პარმა" (26) მას შემდეგ, რაც მალესანის გამოეთხოვა, საკიმ ჩაიბარა, რომლის ავტორიტეტი იტალიურ (და საერთაშორისო) ფეხბურთში მაღალია. ამასთან, საკიმ მწვრთნელის პოსტზე დაჰყო სულ... 23 დღე. მოვუსმინოთ მას: „მივიღე ეს ძნელი გადაწყვეტილება, მაგრამ „ვერონასთან" მატჩში სტრესი გადავიტანე. ეტყობა დაძაბულობას უკვე ველარ ვიტანდი და ამას შეეძლო ჩემი ჯანმრთელობა აშკარად შეერყია. მეგონა, რომ იმ ორი წლის მანძილზე, რომლის დროსაც ფეხბურთთან საქმე უკვე აღარ მქონდა, ჩემი „ბატარეები" შეივსო და მომძლავრდა, შემეძლო სამწვრთნელო საქმიანობა გამეახლებინა. ასე არა ყოფილა. ვიგრძენი, რა ძნელი ყოფილა მწვრთნელად მუშაობა". ახლა „პარმას" კიდევ ერთი გამოცდილი მწვრთნელი რენცო ულივიერი ჩაუდგა სათავეში. „ფიორენტინა" (25), რომელსაც შესანიშნავი ფეხბურთელები ჰყავს, არათანაბრად თამაშობს. ამტყუნებენ თურქ მწვრთნელს ფატიჰ ტერიმს, რომელიც, ექსპერტების აზრით, მეტად რისკიან ტაქტიკას ირჩევს, საკმაოდ უსაფუძვლოდ უტევს იმ გუნდებსაც კი, რომელთანაც აშკარად დაცვაზე უნდა იფიქრო. კლუბის მესვეურები ფიქრობენ მწვრთნელის შეცვლაზე, რაც ტერიმს მეტად ანერვიულებს. იგი ჩივის, რომ საკადრო ცვლილებები „ფიორენტინაში" ყოველთვის მის ჩაურევლად ხდება. რა თქმა უნდა, უჩვეულოა ისიც, რომ ასე უსუსურად გამოიყურება სახელგანთქმული „ინტერიც" (25). მართალია, მწვრთნელ ტარდელის გარკვეული იმედებიც აქვს. ასეთი ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ თანდათან მწყობრში დგება ვიერი, რომელმაც უკვე 5 გოლი გაიტანა. მასთან, თურქ ჰაკან შუქურის ნაცვლად, რომელიც „ინტერს" ნაკლებად გამოადგა, თამაშს იწყებს აგრესიული ფერანტე (იჯარის წესით ნათხოვი „ტორინოდან"). რაც შეეხება რონალდოს, საეჭვოა, რომ იგი ამ სეზონის ბოლომდე მილანურ კლუბში გამოჩნდეს. ძალზე არათანაბრად თამაშობს „ბოლონია" (24).

არის კლუბები, რომლებსაც ე.წ. „უეფას ზონა" ნაკლებად ენაღვლებათ, მათი ძირითადი საფიქრალია როგორმე „სერია A"-ში დარჩნენ. ასეთი დღეისათვის შვიდია: „ლეჩე" (22) თავისი შედეგიანი ფეხბურთელებით ლუკარელითა და ვუგრინეცით, ამასთან, ლუკარელის, იტალიელი მიმომხილველების აზრით, უფრო მაღალი კლასის კლუბში შეეფერება თამაში, „ბრეშია" (20) ჰიუბნერითა და ისეთი ვირტუოზით, როგორიცაა რობერტო ბაჯო (მართალია, იგი ხანგრძლივად ავადმყოფობდა), „ვიჩენცა" (19), „ვერონა" (18), „ნაპოლი" (17), „რეჯინა" (14), „ბარი" (12). მათი სატურნირო მდგომარეობა, როგორც ვხედავთ, განსხვავებულია, მაგრამ ყველა ეს კლუბი საკმაოდ ძლიერად თამაშობს და აბსოლუტურად უიმედო არც ერთი არ გახლავთ. „სერია A"-ში ნებისმიერ „აუტსაიდერს" შეუძლია ლიდერების გამწარება.

მორიგი, XIX ტური 18 თებერვალს გაიმართება. ლიდერები ამ დღეს ერთმანეთს არ შეხვდებიან, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ნებისმიერი შეხვედრა თავისებურად საინტერესოა: „მილანი" — „ბოლონია", „პარმა" — „ბრეშია", „რეჯინა" — „ფიორენტინა", „ნაპოლი" — „ინტერი", „ბარი" — „იუვენტუსი", „პერუჯა" — „ლაციო", „რომა" — „ლეჩე", „უდინეზე" — „ვერონა", „ატალანტა — „ვიჩენცა".

**ბივი ბამრეკელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული პლანეტა

# ნბა:




## „ფილადელფიამ“ წარუმატებელი სერია შეწყვიტა

ამერიკული საკალათბურთო ასოციაციის ბოლო ტურის ცენტრალური შეხვედრა ფილადელფიაში გაიმართა, სადაც „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ სტუმრობდა. მასპინძლებმა შედარებით იოლად გაიმარჯვეს — 112:97 და ბოლო დღეების წარუმატებელი მატჩების სერია შეწყვიტეს.

***სხვა შეხვედრები:*** ატლანტა — მილუოკი 98:102, დეტროიტი — ნიუ-ჯერსი 105:86, ორლანდო — ლოს-ანჯელეს კლიპერსი 114:101, ფინიქსი — მინესოტა 104:96, იუტა — ნიუ-იორკი 106:90.

### აღმოსავლეთის კონფერენცია

**ატლანტიკის დივიზიონი**

| | თ. | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 52 | 38 | 14 | 73,1 |
| მაიამი | 51 | 31 | 20 | 60,8 |
| ნიუ-იორკი | 49 | 29 | 20 | 59,2 |
| ორლანდო | 49 | 26 | 23 | 53,1 |
| ბოსტონი | 50 | 22 | 28 | 44,0 |
| ნიუ-ჯერსი | 53 | 17 | 36 | 32,1 |
| ვაშინგტონი | 50 | 12 | 38 | 24,0 |

**ცენტრალური დივიზიონი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მილუოკი | 49 | 30 | 19 | 61,2 |
| ტორონტო | 50 | 27 | 23 | 4,0 |
| შარლოტი | 52 | 27 | 25 | 51,9 |
| ინდიანა | 49 | 21 | 28 | 42,9 |
| კლივლენდი | 48 | 20 | 28 | 41,7 |
| დეტროიტი | 51 | 20 | 31 | 39,2 |
| ატლანტა | 51 | 16 | 35 | 31,4 |
| ჩიკაგო | 49 | 7 | 42 | 14,3 |

### დასავლეთის კონფერენცია

**შუადასავლეთის დივიზიონი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| იუტა | 49 | 33 | 16 | 67,3 |
| სან-ანტონიო | 48 | 32 | 16 | 66,7 |
| მინესოტა | 52 | 32 | 20 | 61,5 |
| დალასი | 51 | 31 | 20 | 60,8 |
| დენვერი | 52 | 28 | 24 | 53,8 |
| ჰიუსტონი | 51 | 26 | 25 | 51,0 |
| ვანკუვერი | 50 | 14 | 36 | 28,0 |

**წყნარი ოკეანის დივიზიონი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პორტლენდი | 51 | 36 | 15 | 70,6 |
| საკრამენტო | 47 | 32 | 15 | 68,1 |
| ლეიკერსი | 49 | 32 | 17 | 653 |
| ფინიქსი | 50 | 30 | 20 | 60,0 |
| სიეტლი | 52 | 28 | 24 | 53,8 |
| კლიპერსი | 52 | 16 | 36 | 30,8 |
| გოლდ. სტ. | 49 | 15 | 34 | 30,6 |

**სამთომეთხილამურეობა**

## ელოფსონის ბრწყინვალე წარმატება

ფინეთის სათხილამურო კურორტ ლახტში შვედი მოთხილამურის პერ ელოფსონის ტრიუმფით დასრულდა 15 კმ-ზე კლასიკური სტილით ვაჟთა რბოლა (39,26,0) მსოფლიო ჩემპიონატის პირველ დღეს. ამ ახალგაზრდა ნიჭიერ სპორტსმენს ლეგენდარულ გუნდე სვანის მემკვიდრედ მიიჩნევენ. შვედეთის ნაკრებს 1993 წლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვება არ მოუპოვებია, მაშინ უძლიერესის სახელი ტორგნი მოგრენმა დაისაკუთრა მარათონულ რბოლაში.

ქალთა შორის ამავე დისტანციაზე უძლიერესი იყო ნორვეგიელი ბენტე სკარი-მარტინსენი – 43.54,8.




პერ ელოფსონი




ბენტე სკარი-მარტინსენი

**ჩოგბურთი**

## ფავორიტი მეორე წრეში გავიდა

„Chevrolet Cup“-ის დიდ საჩოგბურთო ტურნირში პირველ ნომრად განთესილია არგენტინელი ფრანკო სკილიარი. ფავორიტი მეორე წრეში გავიდა, მას შემდეგ, რაც დაძაბულ ბრძოლაში სძლია ბელგიელ კრისტოფ როხუსს – 6:2, 6:4.

**ფიგურული ციგურაობა**

## უნივერსიადა რუსმა მოციგურავემ მოიგო

პოლონეთში მიმდინარე სტუდენტთა მსოფლიოს უნივერსიადაზე ფიგურულ მოციგურავეთა ტურნირში დასრულეს ასპარეზობა ვაჟებმა. ოქროს მედალი მოიპოვა მოსკოველმა რომან სეროვმა, რომელმაც ქულათა მცირე უპირატესობით გაუსწრო ჩინელ ხუ სიაოს.

## მაიერმა ავტორიტეტი აღიდგინა

ავსტრიელმა ჰერმან მაიერმა, რომელმაც ამას წინათ წარუმატებლად იასპარეზა სანკტ-ანტონში გამართულ სამთომოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატში, რამდენადმე აღიდგინა შელახული ავტორიტეტი — იაპონიის დაბა სიგაკოგენში მან მსოფლიო თასის ეტაპი მოიგო.

ორი ცდის ჯამში გიგანტური სლალომის ტრასაზე 28 წლის ავსტრიელმა აჩვენა შედეგი 2.43,49, რაც 2 (!) წამით აღემატება მეორე ადგილზე გასულ ლიხტენშტეინელის მარკო ბიუხელის დროს. მესამე შედეგი ჰქონდა ავსტრიელ ბენჯამინ რაიხს.

**კრივი**

## ტაისონი ლუისთან საბრძოლველად მზადაა

ამ დღეებში „რკინის მაიკმა“, როგორც იქნა თქვა ის, რასაც ამდენი ხანი ელოდნენ მისი თაყვანისმცემლები: იგი მზადაა შეერკინოს NBC და IBF ვერსიებით მსოფლიო ჩემპიონს მძიმე წონაში ბრიტანელ მოკრივეს ლენოქს ლუისს. ტაისონმა დაავალა თავის მენეჯერს შელი ფინკელს დაიწყოს მოწინააღმდეგე მხარესთან მოლაპარაკება. იტყობინებიან, რომ სავარაუდო ბრძოლა ამ ზაფხულს, ალბათ, ივლისში გაიმართება.

**ველოსპორტი**

## ლიდერობს ლანფრანკი

იტალიელი პაოლო ლანფრანკი ფინიშთან პირველი მიიჭრა „ტურ ლანგკავის“ მეცხრე ეტაპზე (137 კმ) მალაიზიის გზებზე გამართულ მრავალდღიან ველორბოლაში. ამ წარმატებით იტალიელი მრბოლი საერთო ჩათვლის სათავეში მოექცა. IX ეტაპის სამეული ასე გამოიყურება: 1. ლანფრანკი — 3:30.34, 2. პაოლო ბერტოლო (ჩამორჩენა — 0,49), 3. პაოლო ბეტინი (სამივე იტალია) — ჩამორჩენა — 1,35.




# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ტანკო ბოდიშს იხდის და ძალიან ნანობს

23 წლის განელი თავდამსხმელი იბრაჰიმ ტანკო მეტად საჩოთირო სიტუაციაში აღმოჩნდა. იგი დორტმუნდის „ბორუსიას“ საკუთრებაა და მომავალ სეზონში თითქოს „ფრაიბურგში“ უნდა გადასულიყო, მაგრამ...

ტესტმა, რომელიც ტანკოს ჩაუტარეს, დადებითი შედეგი მოიტანა. მის ორგანიზმში აღმოჩნდა ტეტრაჰიდროკანაბინოლი, რომელიც ჰაშიშსა და მარიხუანას შეიცავს.

ტანკო ძალიან ნანობს და ამ ეპიზოდს „სულელურს“ უწოდებს, მაგრამ მას, ცხადია, არავინ აპატიებდა.

### რეკობა – ყველაზე მდიდარი?

**მილანის „ინტერმა“ 2006 წლამდე გააგრძელა ხელშეკრულება ურუგვაელ ალვარო რეკობასთან. იტალიური „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, რეკობა წელიწადში 15 მილიარდ ლირას (დაახლოებით 7 მილიონ დოლარს) მიიღებს და ამრიგად, მსოფლიოში ყველაზე უფრო მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი ხდება.**

**მას შემდეგ, რაც რომაროის ყიდვის ცდიდან არაფერი გამოვიდა „ინტერმა“ გააფორმა კონტრაქტი მონტევიდეოს „პენიაროლის“ თავდამსხმელ ანტონიო პაჩეკოსთან. მასში 4,74 მილიონი დოლარი გადაიხადეს, მაგრამ ხელშეკრულებაში არის პუნქტი, რომ 2002 წელს მისი პირობები შეიძლება გადაისინჯოს.**

### პენევი ესპანელებს რუმინელების მოსყიდვაში ადანაშაულებს

ბულგარეთის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი დიმიტარ პენევი ესპანეთის ნაკრების ყოფილ მწვრთნელებს ადანაშაულებს ევროპის 1996 წლის ჩემპიონატში რუმინელი ფეხბურთელების მოსყიდვაში.

რუმინელებმა, რომელთათვის იმ შეხვედრას რაიმე მნიშვნელობა უკვე აღარ ჰქონდა, ყოველგვარი მონდომების გარეშე ითამაშეს ესპანელებთან (ბულგარელების მეტოქეებთან მეოთხედფინალური საგზურებისათვის ბრძოლაში), ბოლო წუთებზე წააგეს გილიერმო ამოროს მიერ გატანილი გოლის გამო. თვით ბულგარელები კი ამავე დროს ფრანგებთან დამარცხდნენ და გამოეთიშნენ შეჯიბრებას.

როგორც პენევმა განაცხადა, რუმინელები ძალიან ცუდად მოიქცნენ. მათ ბულგარელებისაგან ანაზღაურება მოითხოვეს, რომლის მიღების შემთხვევაში ესპანელებს (მათ იმ პერიოდში ხავიერ კლემენტე ხელმძღვანელობდა) „არ გაახარებდნენ“. როცა ამჟამად მარსელის „ოლიმპიკში“ მომუშავე ხავიერ კლემენტემ პენევის განცხადების შესახებ შეიტყო, მან ამას „ავადმყოფური ბრალდებები“ უწოდა. კლემენტემ თქვა, რომ მთელი თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე „ერთი მატჩიც კი არ უყიდია“. საინტერესოა, რომ პენევის განცხადებას არ ენდნენ არც რუმინეთისა და არც ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციები, რაც შეეხება თვით ამ მატჩის მონაწილეებს, ისინი თვლიან, რომ პენევი არ წამოაყენებდა ასეთ ბრალდებებს, მის ნაკრებს რომ მაშინ ფრანგებთან მოეგო.

### ცნობილია ექვსეული

**კონკაკაფის ზონიდან მსოფლიო ჩემპიონატზე იაპონიასა და სამხრეთ კორეაში სამი ნაკრები უნდა გაემგზავროს. პირველი შესარჩევი ეტაპის, ანუ ნახევარფინალის შემდეგ დარჩა ის ექვსი ნაკრები, რომელიც ამ უფლებისათვის იბრძვის. ესენია ტრინიდადი და ტობაგო, მექსიკა, ჰონდურასი, იამაიკა, აშშ და კოსტა-რიკა.**

**საინტერესოა, რომ პირველი ეტაპის შემდეგ კოსტა-რიკასა და გვატემალის ნაკრებებს აბსოლუტურად ერთნაირი შედეგები ჰქონდათ, ამიტომ მათ შორის კიდევ ერთი გადამწყვეტი შეხვედრა ნეიტრალურ მინდორზე მაიამიში (აშშ). გაიმარჯვეს კოსტარიკელებმა — 5-2.**

### აკოფ ჩალიკიანი 80 წლისაა

80 წელი შეუსრულდა ერთ დროს პოპულარულ სომეხ თავდამსხმელ აკოფ ჩალიკიანს, რომელიც 1939-1952 წლებში თამაშობდა ერევნის „სპარტაკსა“ და „დინამოში“. ახლა ჩალიკიანი ერევნის ბავშვთა და ჭაბუკთა საფეხბურთო სკოლის მწვრთნელია.

### ასეთია აფრიკული ათეული

**აფრიკის ფეხბურთის კონფედერაცია ყოველწლიურად ატარებს სპეციალისტების გამოკითხვას. ეს რეფერენდუმი 1965 წლიდან ტარდება, როცა დაიწყო აფრიკული საკლუბო კონტინენტური ტურნირები. ამ ექსპერტებმა აფრიკის უძლიერესი კლუბები უნდა დაასახელონ.**

**აი ეს კლუბებიც: 1. „ალ-აჰლი“ (ეგვიპტე). 2. „ზამალკეკი“ (ეგვიპტე). 3. „კანუნ ითენდე“ (კამერუნი). 4. „ასანტე კოტოკო“ (განა). 5. „ესპერანსი“ (ტუნისი) 6-7. „ასეკ აბიჯანი“ (კოტ დ, ივუარი) და „ჰარტს ოფ ოუკი“ (განა). 8. „აფრიკა სპორტსი“ (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა). 9. „კაბილია“ (ალჟირი), 10. „მაზემბე ენგლებერტი“ (კონგო).**

### რისთვის გააძევეს უგანდელი მეკარე?

აფრიკულ ფეხბურთში ზოგჯერ ძალიან უცნაური ამბები ხდება. რისთვის შეიძლება მოთამაშეს ეროვნული ნაკრები დაატოვებინონ? ვთქვათ, სუსტი თამაშისათვის, მწვრთნელთან კონფლიქტისათვის, რაიმე ამორალური საქციელისათვის. აი უგანდაში კი, ნაკრებიდან გააძევეს მეკარე სემ კაველია, რომელმაც... არ დააბრუნა ფედერაციის კუთვნილი გეტრები და ბუცები.

ფედერაციის მოხელეების აზრით, კაველიამ ისეთი მძიმე დანაშაული ჩაიდინა, რომ იგი გარიცხეს შეკრებიდან, რომელიც საუდის არაბეთში უნდა გამართულიყო უგანდის ნაკრების მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩებისათვის მოსამზადებლად. ადრე უგანდაში ყოფილა შემთხვევები, როცა მოთამაშეები ითვისებდნენ მაისურებს ან ამ თუ იმ სპორტულ ნივთს. ამ წვრილმან ქურდებს აჯარიმებდნენ, ახლა კი საქმემ უფრო სერიოზული ხასიათი მიიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბორის გელფანდი თავს იცავს

*გამოჩენილმა დიდოსტატმა ბორის გელფანდმა, რომელიც უკვე ორი წელია მინსკიდან ისრაელში გადასახლდა და ამ ქვეყნის ნაკრების ლიდერი გახდა, ღია წერილით მიმართა მოსკოვის ჟურნალ „64“-ის რედაქციას*



გარი კასპაროვი თავის ახალ ინტერვიუებში, რომლებიც ინტერნეტით გადაეცა და გაზეთ „სპორტ-ექსპრესში“ გამოქვეყნდა, რამდენჯერმე შეეხო ჩემს როლს მსოფლიო პირველობის მატჩში ვლადიმირ კრამნიკთან. მე მინდა ამ საქმეში სინათლის შეტანა.

კასპაროვი ამტკიცებს, რომ რაკი მე მასთან ერთად 1998 წელს საწვრთნელ შეკრებაზე ვმონაწილეობდი, უკვე აღარ მქონდა უფლება სხვა მოჭადრაკეებთან მევარჯიშა და მათთვის გამეწია დახმარება. ამასთან, მე არასოდეს ვყოფილვარ კასპაროვის მწვრთნელი (ისევე, როგორც არც სხვა მოჭადრაკეების მწვრთნელი). მე ვიყავი მხოლოდ მისი სპარინგ-პარტნიორი, იმდენად, რამდენადაც ისიც იყო ჩემი სპარინგ-პარტნიორი, მთელი ჩემი საჭადრაკო კარიერის მანძილზე ბევრი მოჭადრაკის სპარინგ-პანტნიორი ვყოფილვარ (ეს არის ჭადრაკზე მუშაობის ყველაზე გავრცელებული მეთოდი. მათ რიცხვში გამოჩენილი დიდოსტატებისაც. ამ დროს მოჭადრაკეები ერთმანეთს იდეებით ამდიდრებენ. თავისთავად იგულისხმება, რომ იდეები, რომლებიც ერთობლივი ანალიზისას არის მიკვლეული, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაეცეს სხვას. ამ წესის დარღვევა არასოდეს მიფიქრია.

გ. კასპაროვი აცხადებს: „არაფერია საძრახისი იმაში, როცა ადამიანები ფულის გულისათვის მუშაობენ. სწორედ ასე მუშაობდა ჩემს გუნდში თვით კრამნიკი ანანდთან ჩემი მატჩის დროს. მაგრამ მისი (კრამნიკის) რამდენიმე ამხანაგი ახლა მას იმიტომ ეხმარებოდა, რომ ჩემს მიმართ „განსაკუთრებით კეთილი გრძნობები“ ჰქონდა. ეს კი უკვე ჩემი ეთიკური კოდის ნორმებს სცილდება! ეტყობა, გელფანდს იგი სხვანაირი აქვს“. ეს მტკიცება იმას გვიჩვენებს, რომ დიდმა ექს-ჩემპიონმა, ეტყობა, არ იცის, რა არის მეგობრობა. ამიტომ მე მხოლოდ ის უნდა ვთქვა, რომ ამ გაგებით კასპაროვი, უბრალოდ, მეცოდება.

სხვა ადგილას კასპაროვი ამბობს: „მან (გელფანდმა) წესიერების ყოველგვარ საზღვრებს გადააცილა“. მინდა ამ დაუსაბუთებელ ბრალდებასაც ვუპასუხო.

უკანასკნელი 8 წლის მანძილზე მე და კრამნიკი ერთმანეთს რეგულარულად ვუზიარებთ საჭადრაკო იდეებს, ერთმანეთს სხვადასხვა შეჯიბრებისათვის მზადებაში ვეხმარებით, მაშინაც, როცა ტურნირში ორივე ვმონაწილეობთ. მაშინ, როცა სადმე რომელიმე ჩვენგანი თამაშობს, მეორე კი არა, იგი მონაწილეს აუცილებლად ეხმარება, ტელეფონით უკავშირდება და თავის მოსაზრებებს უზიარებს. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა მადლობა გადავუხადო ვლადიმირს იდეების იმ რაოდენობისათვის, რომელიც მან სხვადასხვა დროს მომაწოდა და ამით ბევრ პარტიაში გამარჯვების საშუალება მომცა. ამის შესახებ ჭადრაკის სამყაროში კასპაროვის ჩათვლით, ყველამ იცის. თვით კასპაროვი კრამნიკ-შიროვის მატჩში. მე კრამნიკის თანაშემწედ მიმიჩნევდა, თუმცა სინამდვილეში მაშინ კრამნიკის სეკუნდანტი არა ვყოფილვარ და არც ერთ საწვრთნელ შეკრებაში მონაწილეობა არ მიმიღია. ეს იმ მატჩთან ერთად კასპაროვ-კრამნიკის ახლანდელ შეხვედრასაც ეხება.

აი ის კი, რომ ჩვენ სხვადასხვა ეთიკური კოდი გვაქვს, კასპაროვმა ნათლად დაამტკიცა 1997 წელს ნოვგოროდის საერთაშორისო ტურნირში. მაშინ ვლადიმირი, თუკი მე უკანასკნელ ტურში დამამარცხებდა, არა მარტო ეწეოდა ქულებით კასპაროვს, არამედ დამატებითი მონაცემებით პირველ პრიზსაც კი ეუფლებოდა. თვით კასპაროვმა თავისი შეხვედრა ბოლო ტურში სწრაფი ყაიმით დაასრულა და ყველას გასაგონად განაცხადა, რომ მე განზრახ ვაგებდი კრამნიკთან, რათა ჩემი მეგობრისათვის ტურნირში გამარჯვების საშუალება მიმეცა. საბედნიეროდ, 7-საათიანი თამაშის შემდეგ, როცა მე ძნელი თავდაცვა მომიხდა, პარტია ყაიმით დასრულდა. კასპაროვს ბოდიშის მოხდა არც კი უფიქრია, ამ ბოდიშს ჩვენ უკვე ამდენი წელია ველით.

ჩემს მიერ დასახელებულ ინტერვიუებში მე კასპაროვმა ერთი თეორიული სიახლის ავტორადაც კი ჩამთვალა, რომელიც ახლანდელი მატჩის მეექვსე პარტიაში შეგვხვდა. მე ამას ვიღებ, როგორც კომპლიმენტს, ასეთი თეორიული სიახლეებით ვიამაყებდი კიდეც, მაგრამ რა ვქნა, რომ არაფერ შუაში ვარ. იგი კრამნიკსა და მის სამ ჩინებულ სეკუნდანტს ეკუთვნის, მე კი მაშინ გავეცანი სიახლეს, მატჩის პარტიებს რომ ვარჩევდი.

„სპორტ-ექსპრესში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში კასპაროვი აცხადებს: „ახლა ჭადრაკში პრაგმატიკული ბაზრობის დრო დადგა. „რა ღირს თქვენი კომპანია?“ „რა ღირს თქვენი აქციები?“... აი ახლა ჭადრაკში მოვიდა კაცი, რომელიც ანხორციელებს ამ პრაგმატიკულ, ცინიკურ თვალსაზრისს... სტილი, რომლითაც თავის პარტიებს კრამნიკი ატარებს, ბევრს არ მოსწონს, იგი ადამიანებს სიამოვნების გრძნობას არ უქმნის“.

გასაგებია, რომ ასეთი თავდასხმების ფასი უმნიშვნელოა, მაგრამ მე მაინც მინდოდა გამეგო რამდენიმეს გვარი იმათგან, ვისაც კრამნიკის პარტიები არ მოსწონს. მე პირადად ისინი მომწონს, ისევე, როგორც ისინი მოსწონდა თვით კასპაროვსაც სულ რამდენიმე თვის წინათ.

## ვინ რამდენი მიიღო

***გერმანულმა ჟურნალმა „როხადემ“ გამოაქვეყნა საინტერესო მონაცემები მსოფლიოს ვაჟთა და ქალთა ჩემპიონატების მონაწილეთა ჰონორარის შესახებ.***

***ვაჟები:*** ვინც პირველ წრეში დამარცხდა, მიიღო 6-6 ათასი დოლარი. მეორე წრეში წაგებულებმა — 10 600-10 600, მესამე წრის შემდეგ გამოთიშულებმა 21 600-21 600, მეოთხეში დამარცხებულებმა — 43 200-43 200 დოლარი. მეხუთე წრეში ან მეოთხედფინალში წაგებულებმა 86 400-86 400, ნახევარფინალში დამარცხებულებმა კი 172 800-172 800 დოლარი. ახალმა მსოფლიო ჩემპიონმა ვიშვანათან ანანდმა მიიღო 660 ათასი დოლარი, ფინალისტმა ალექსეი შიროვმა კი 396 ათასი დოლარი. საერთო თანხა 3 მილიონი დოლარი იყო.

შედარებით უფრო მოკრძალებული გახლდათ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა ჰონორარი. მათ, ვინც პირველი წრის შემდეგ გამოეთხოვა შეჯიბრებას, მიიღეს 2500-2500 დოლარი, მეორე წრეში დამარცხებულებმა 4000-4000, მესამე წრეში წაგებულებმა 8000-8000, მათ, ვინც მეოთხე წრეში ანუ მეოთხედფინალში დამარცხდა, მიიღეს 14 000-14 000 დოლარი, ნახევარფინალში წაგებულებმა 23 000-23 000. ახალმა მსოფლიო ჩემპიონმა სიუ ჟუნმა (ჩინეთი) 120 ათასი დოლარი, ფინალისტმა კი კანინმა (ჩინეთი) კი 80 ათასი.

### ხსოვნა

## გურამ ჭუმბურიძის გახსენება



**18 თებერვალი არა მარტო შენი ოჯახისათვის, არამედ მთელი შენი სამეგობროსთვის დღესასწაული იყო. რაღაც სხვანაირად ველოდით ამ დღეს ყველა.**

**წლეულს 60 წელი შეგისრულდებოდა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია უკვე მესამედ შევხვდეთ უშენოდ თვალცრემლიანები ამ დღეს.**

**შენ დააკლდი ოჯახს, ნათესაობას, მეგობრებს და ბავშვთა ფეხბურთს, რასაც მთელი გული და სული მიუძღვენი. სამწუხაროდ, ბოლომდე დახარჯვა კი არ დაგცალდა.**

**ბავშვების უზომოდ მოყვარული იყავი. შეგირდებს ხიბლავდი უზადო პატიოსნებითა და იუმორით. ისინი არასდროს დაგივიწყებენ და მუდამ ღირსეულ პატივს მიაგებენ შენს ხსოვნას.**

**რაც დრო გადის, უფრო და უფრო მტკივნეული ხდება იმის აღქმა, რომ ჩვენს გვერდით აღარ ხარ. აღარ დაგვამშვიდებ და აღარ მოგვეფერები შენებურად.**

**სითბოს და სიყვარულს ასხივებდი ყველგან, სადაც გაივლიდი.**

**შენ ყოველთვის ჩვენთან ხარ, ყოველი დღე შენთან ერთად თენდება და ღამდება ჩვენთვის.**

**დაბადების დღეს გილოცავთ შენი მეუღლე, შვილები, შვილიშვილი, მეგობრები, ნათესავები და შენი საყვარელი ფეხბურთელები.**

ოჯახი, მეგობრები, ფეხბურთელები.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**16 თებერვალი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ევროპის საფეხბურთო მიმოხილვა (15.15), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (20.00), ***НТВ плюс спорт.*** ფიგურული ციგურაობა. საჩემპიონო სერია გრან-პრი (13.35, 22.50) ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (16.30), მოტორბოლა ყინულზე. ევროპის ჩემპიონატი (17,15), ტაილანდური კრივი (21.00), ***ESPN.*** ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგა. „ლიონი“ – „არსენალი“ (08,30, 01.30), „ბაიერნი“ – „სპარტაკი“ (13.30), ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (12.00), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (22.00), ***EUROSPORT.*** თხილამურები, მსოფლიო პირველობა (11.30, 13.00, 17.00, 19.30, 21.00), ფეხბურთი. უეფას თასი (15.00), ციგაობა. მსოფლიო თასი (22.00), კალათბურთი. ევროლიგა (23.00), სუმოს დიდი ტურნირი (23.30), ***НТВ плюс футбол.*** იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (14.50, 1.15), ჩემპიონთა ლიგა: „შტურმი“ – „პანათინაიკოსი“ (15.40), „გალათასარაი“ – „დეპორტივო“ (17.55), ევროპის ფეხბურთი (20.00), შოტლანდიის ჩემპიონატი (20.45), ჰოლანდიის ჩემპიონატი (23.10).

**17 თებერვალი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** რაგბი. ექვსი ერის პირველობის მატჩი: საქართველო – პორტუგალია, პირდაპირი რეპორტაჟი ბ. პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონიდან (14.55), ***რუსთავი-2.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის საკვირაო მიმოხილვა (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (22.00). ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ плюс спорт.*** ფიგურული ციგურაობა. საჩემპიონო სერია გრან-პრი (11.40, 21.00), კალათბურთი. ევროლიგის მატჩების მიმოხილვა (1.25), ***ESPN.*** ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგა. „გალათასარაი“ – „დეპორტივო“ (20.00), იტალიის ჩემპიონატის მატჩი, პირდაპირი რეპორტაჟი (23.30), ***EUROSPORT.*** ციგაობა. მსოფლიო თასი (12.30), სამთომეთხილამურეობა (14.30, 21.00), სუმოს დიდი ტურნირი (0.30). ***НТВ плюс футбол.*** ჰოლანდიის (13.15, 19.55), შოტლანდიის (15.45), ჩემპიონთა ლიგის (17.30), იტალიის ან ესპანეთის (23.25. 1.35) ჩემპიონატები და მიმოხილვა.

**18 თებერვალი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (19.20), ***საქართველოს ხმა.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (23.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (23.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.45), ***НТВ плюс спорт.*** ფიგურული ციგურაობა. საჩემპიონო სერია გრან-პრი (11.40, 19.30), მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება (22.50), ***ESPN.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „გალათასარაი“ – „დეპორტივო“ (08.00), „შტურმი“ – „პანათინაიკოსი“ (13.00, 23.00), იტალიის ჩემპიონატი (15.00), ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (21.00). ***EUROSPORT.*** თხილამურები. მსოფლიო თასი (12.00, 17.00, 21.00, 23.00), ***НТВ плюс футбол.*** იტალიის (13.15, 23.25), ესპანეთის (15.30, 1.35), ჰოლანდიის (17.15), საფრანგეთის (22.15) ჩემპიონატები და მიმოხილვა. „მუნდიალი“ (22.55).

**ვერის ბაღის ფეხბურთის გულშემატკივართა კლუბი „ქართლოსი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა 60-იან წლებში თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი**



**ხუტა ყუფარაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს გამომცემლობა „სამშობლოს“ თანამშრომელს ნანა ხელაშვილს დედის გარდაცვალების გამო.**

## საჭადრაკო „ჩემპიონების ლიგა“ – სრულიად ახალი შეჯიბრება

ყველაზე მნიშვნელოვანი ახალი შეჯიბრება, რომელიც ამიერიდან სისტემატურად გაიმართება, ფიდეს მიერ შემოთავაზებული ჩემპიონთა ლიგაა.

რას წარმოადგენს იგი?

ჩემპიონთა ლიგაში, ანუ სხვანაირად, „გრან-პრის“ სისტემაში, ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილიუმჟინოვის განმარტებით, 32 დიდოსტატი ითამაშებს. დიახ, მაგრამ როგორ მოხდება მათი შერჩევა? აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ბოლო მსოფლიო ჩემპიონატს მიენიჭება.

დასაწყისისათვის დიდოსტატებს სპეციალურად მიენიჭებათ ქულები: მსოფლიო ჩემპიონს — 600, ფინალისტს — 500, ნახევარფინალების მონაწილეებს — 400-400 და ა.შ. მერე ისინი ჩაებმებიან ტურნირებში და მხოლოდ ამ ახალ შეჯიბრებებს გაითვალისწინებენ (ფიდეს რეიტინგისაგან განსხვავებით), რაც მათ გარკვეულ სტიმულს მისცემს. ამ დიდოსტატებს დაახლოებით თანაბარი პირობები შეექმნებათ სამ ასეთ ტურნირში მიღწეული საერთო შედეგის გათვალისწინებით. ამ 32 დიდოსტატიდან შეარჩევენ 16 უძლიერესს „გრან პრის“ ფინალში მონაწილეობისათვის. ეს დასკვნითი შეჯიბრება კი, ოქტომბერში, ელისტაში ჩატარდება. შეიძლება იქ ვერ მოხვდნენ ის მოჭადრაკეები, რომლებსაც ფიდეს რეიტინგ-ლისტში მაღალი ადგილები კი უკავიათ, მაგრამ წლევანდელ შეჯიბრებებში ნაკლები წარმატებები აქვთ.



## კროსვორდი №13

**თარაზულად:** 6. კოტე მახარაძის ამპლუა სპორტული ასპარეზობაში, 8. ინგლისის პრემიერლიგის კლუბი, 10. სპორტული ლატარეა. 11. იუგოსლავიის საკალათბურთო გუნდი, 12. თბილისის ბავშვთა საფეხბურთო კლუბი, 14. ფორმულა 1-ის კანადელი პილოტი, 17. რუმინეთის ნაკრების ფეხბურთელი, 18. წარსულში სახელგანთქმული ჩეხოსლოვაკიელი სტაიერი, 19. ფორმულა 1-ის გერმანელი პილოტი, 21. კლუბების გაერთიანება, 22. ახლო წარსულში ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელი, მცველი, 23. ფიფას ერთ-ერთი კონფედერაცია, 26. იტალიაში მომუშავე ჩეხოსლოვაკიელი საფეხბურთო მწვრთნელი. 27. ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი, 28. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი.

**შვეულად:** 1. თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო მწვრთნელი 80-იან წლებში. 2. ახლო წარსულში კანადელი მორბენალი ვაჟი, 3. სპორტული ნაგებობა, 4. საჭადრაკო ფიგურა, 5. რუმინელი თეხბურთელი, მეკარე, 7. სპორტული შეჯიბრება, 9. სტუდენტთა სპორტული თამაშები, 13. პსჟ-ს ნიგერიელი ფეხბურთელი, 15. რუსეთის ფრენბურთელთა გუნდი, 16. 70-იან წლებში ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელი, 17. აწ გარდაცვლილი თბილისის „მრეტების“ ფეხბურთელი, ფორვარდი, 20. იტალიის საფეხბურთო ლიგა, 24. ლიბერიელი ფეხბურთელი, 25. ესპანეთში მოთამაშე კამერუნელი ფეხბურთელი, 27. გრემ ლე...

### №12 კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 6. რევანში, 7. შანიძე, 8. ნაგანო, 9. „სამპდორია“, 11. „იმოლა“, 13. ლუისი, 15. ბენკო, 17. სამორანო, 18. გრენობლი, 20. აიალა, 21. კარტი, 23. მელია, 26. ივერსენი, 28. „სკონტო“, 29. კოდეში, 30. ნასტასე.

შვეულად: 1. „დინამო“, 2. არენა, 3. მარადონა, 4. ფინტი, 5. სტარტი, 9. სამპრასი, 10. ალპინიზმი, 12. მალანია, 14. სკილაჩი, 15. „ბანგა“, 16. ოპრია, 19. კაპრიატი, 22. „რიბოკი“, 24. ლიდერი, 25. „ანცი“, 26. იპონი, 27. „ნიკეა“.

## საჭადრაკო ამოცანა

ლ. კუბელი



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:**

1. ლc1!
1. ...b4 2. ლc6+ მფa5 3. მc4X.
1. ...მფb6 2. მd7+ მფa5 3. ლa3X.
1. ...მფa5 2. ლa3+ მფb6 3. ლa7X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.